ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობის ფურცელი

ფასი: წლიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცელისა და კომპ. განცხადებათა კონტორებში მოსკოვში და პეტერბურგში.

№ 2631
ოთხშაბათი, 6 ოქტომბერი
1896—1904

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა შუადღის 11—1-ო საათამდე. დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს; ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთი თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Мозамбе“. ტელეფონი № 373.

ხაზინის თეატრი. ანტრეპრიზა საიმპერ. თეატრის არტ. ლ. დ. დონსკოისა.
ოთხშაბათს, 6 ოქტომბერს 1904 წელს
წარმოდგენილი იქნება „ა ი დ ა“ ოპერა 4 მოქ., მუს. ვერდისა.
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: ტულლერი, პეტროვა-ზვანცევა; ბ-ნნი რიბაკოვი, კომაროვი, გალეცკი, დემიანენკო, ზელინსკი.
კაპელმეისტერი მიკლაშევსკი. ფასები ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
7 ოქტ. „ფაუსტი“. გამგე ი. ა. კელლერი.

საფაბრიკო საწყობი
ქაღალდის ფაბრიკის სააქციონერო საზოგადოებისა
გ. ი. პალლიზენ
რუჟევის ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კოშელევების ქაღალდის ფაბრიკების
ტფილისი, გოლოვ. პროსპ. მანთაშევის სახლში. ბაქო, მილიუტინის ქუჩა, გრანდ-ოტელის ქვემოდ.
ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საბეჭდი და მუშტუკის, ბოთლის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი, საკანცელარიო საგნების. ტელეფონი № 679. (0—170)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.
დღით:
ა. ი. ბალარჯიშვილი.—ბავშვებისა. $9\frac{1}{2}$—$10\frac{1}{2}$ ს.
ყ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირისა ყოველდღე გარდა კვირისა. 10—11 საათ.
ლ. ი. კამოევი.—საშარდესი ხირურგია და ვენერიული ყოველდღე. 12—1 საათ.
ლ. ი, კიმონტი.—ხირურგია $11\frac{1}{2}$—$12\frac{1}{2}$ კვირაობით, სამშაბ., და ხუთშაბათ.
ა. ნ. დიასამიძე.—ვენერიული და კანისა $12\frac{1}{2}$—$1\frac{1}{2}$ საათამდე.
ლ. ა. ზიდივანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.
მძ. ქალი მ. კ. იოსელიანი.—ქალისა და საზებით, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.
ბ. ა. ზეიერი.—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათ.
ლ. მ. მონინი.—ქალისა, საზებით და ბავშვებისა და (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირათ. 1—2 საათამდე.
გ. ს. მუსხელიშვილი.—თვალისა 2—2 საათ ყოველ-დღე გარდა სამშაბ. და კვირისა.
მრ. მ. ხობოლემხძე.—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკ. 1—3 საათამდე.
საღამოთი:
ბ. მ. ხობოლემხძე.—ხირურგია და ორტოპედია. სამშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.
ტ. ს. დავიდოვი.—შინაგანი და ბავშვებისა ყოველდღე გარდა კვირისა. 5—6 საათ.
ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., საავადმყოფოს აქვს ოცი საწოლი სამკურნალოში ოპერაციები მორიგებით. კროვატები დღეში ღირს სამი მან. საზოგადო და ნომერი 5 მან.
ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № [illegible]. მიხაილის ქუჩიდან-კი 34 Б. (წრ.)
ტელეფონი № 274.

ექიმი
ქ. ნ. თეთრაძე
მიიღებს ავადმყოფებს საღამოს 5—7 საათამდე. სუდებნაია, № 24, აფთიაქის თავზე. (30—332—7)

მკურნალი
მიხეილ გედევანიშვილი
იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.
ყორღანოვის ქ., № 16, საკუთ. სახ., ტელ. 791.

ქუთაისში, ექიმი
მიხეილ ივანეს ძე ჩხენკელი
მიიღებს შინაგან და ბავშვების ავადმყოფებს, ტფილისის ქუჩა, სამსონ აბდუშელიშვილის სახლი. (30—6—18)

კბილის ექიმი
ი. ზ. კანდელაკი
დაბრუნდა და განაახლა კბილის ავათმყოფთა მიღება. მიხაილოვის პროსპექტი, მანველოვის სახლში, № 30. მიიღებს 9—2 ს. და 4—7 ს. (30—293—27)

კბილის ექიმი
ელ. რომანიშვილი
მიიღებს ავადმყოფებს ახალ ბინაზე მუხრანიანთ ქუჩა, № 19, საკუთარი სახლი, ქალაქის სამკურნალოს გვერდზე, დილის 12 საათიდან საღამოს 5 საათამდე. (თვ.—ნ.—17)

კბილის ექიმი
ალ. სოლოლაშვილი
გადავიდა გოლოვინის პროსპექტზე, მდივნის სახლში № 12, „კრუჟოკის“ გვერდზე. მიიღებს ავადმყოფებს დილით 10—3 საათამდე, საღამოთი 5—7, კვირაობით 9—12 საათამდე. (30—ნ.—29)

კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი
(ელისაბედის ქ., № 38).
იღებს ავადმყოფებს დილის 9—2-ვისა და საღამოს 5—7 საათამდე. კვირა-უქმობით—10—1-დის.

საარტისტო საზოგადოების შენობაში პირველ-ხარისხოვანი რესტორანი
„ა ნ ო ნ ნ ა“
ტფილისი, გოლოვინის პროსპექტი. ყოველ დღე დაუკრავს ცნობილი
რუმინელთა ორკესტრი
დილით 2-დან 5-მდე, საღამოთი 9-დან 2 ს.-მდე.
სასტუმროს პატრონი ი. ტ. ბონდარენკო.
(4—339—2).

ექიმი
გ. ი. ტერ-გრიგორიანცი
შინაგანთა, სპეციალისტი გულის და ბავშვების ავადმყოფობის, რენტგენის სხივის კაბინეტი. დილის 10—11 საათ. და 5—7 საღ. მიხეილის პრ. № 154. ტელეფონი № 825. (90—295—18)

გამოვიდა და იყიდება ყველგან
ნაწერები ს. მესხისა
გამოცემა ს. ფირცხალავასი
ტ. 1. ფასი 1 მან.
საწყობი „წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების“ მაღაზიაში.

ოქტომბრიდან ხელ-ახლად გამოვა
საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი
„ჯეჯილი“
იმავე პროგრამით და იმავე რედაქტორობით. წლიური გამოცემის ფასი 4 მან. ქალაქ გარედ 5 მან.

თხზულებანი
ია ეკალაძისა
იყიდება „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში. (5—6.—3)

პანსიონი
ელისაბედის ქუჩა. № 71 ისარლოვისეული სახლი
ალექსანდრე გიორგის ძე
მირზაშვილისა.
მიიღებიან ვაჟები საშუალო სასწავლებლებში მესამე კლასამდე მოსამზადებლად და აგრეთვე საზემლემერო სასწავლებელში. (150—218—68)

საჭიროა
მასწავლებლები
„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სკოლებისათვის
გომარეთსა და ყალამშიაში (ბორჩალ. მაზ.)
მასწავლებელს ექნება გომარეთში ჯამაგირი 35 მან. თვეში და ბინა, ყალამშიაში—30 მან. და ბინა.
მსურველთ უნდა წარმოადგინონ ტფილისში, „საზოგადოების“ კანცელარიაში, თხოვნები და დოკუმანტები. (2—უ.—2)

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“
4 ოქტომბერი

მუკდენი, 3 ოქტომბერი („რეიტერი“). საღამოთი სამხრეთ-დასავლეთით სროლა შესუსტდა. ჯარი დაიქანცა. სურსათი შემოაკლდა. მებრძოლთ დიდი სიმამაცე გამოიჩინეს. ველი მოფენილია უკან დახეულ რუსებით. რამდენიმე ყუმბარა კუროპატკინის მახლობლად გასქდა. კუროპატკინმა დიდი სიმამაცე გამოიჩინა. ბრძოლა, როგორც ეტყობა, შეჩერდა. ჯარი გაშმაგებულია. ყველანი ამბობენ, გაჩერება შეუძლებელიაო. იაპონელები ქალაქ მუკდენს მგონი არ მოახლოვებიან. იმათი ბანაკების ცეცხლი მოსჩანს სამხრეთით, მუკდენიდან 15 ვერსზე.

ტოკიო, 3 ოქტომბერი („რეიტერი“). ბრძოლის ველიდან თან-და-თან მოდის დაწვრილებითი ამბები. შეუძლებელია იაპონელთა ზარალის გამორკვევა. როგორც 2 ოქტომბერს გამოგზავნილ ცნობებიდანა სჩანს, საქმე ამ მდგომარეობაშია: იაპონელთა მარჯვენა არმიის (კუროკის) მთავარი ჯარი შახემდე მივიდა, სადაც რუსის დივიზიამ დიდი წინააღმდეგობა გაუწია. ცენტრის (ნოძუს) არმია 2 ოქტომბერს, დილიდან დაწყებული, ცხარე ბრძოლაშია ჩარეული. ამ ჟამად რუსები ჯერ კიდევ თავიანთ პოზიციებზე არიან შახეპუსა და ლამუტუნთან და დიდ წინააღმდეგობას უწევენ იაპონელებს. ცენტრის (ნოძუს) არმიის ერთი რაზმი სცდილობს შახეპუს აღებას. მარჯვენა რაზმი თავს დაეცა რუსის პოზიციას. რუსის რამდენიმე რაზმი შახეს მარჯვენა ნაპირზეა. რუსის ჯარმა შახეპუსა და ლამუტუნთან, რომელიც მარცხენა არმიის წინააღმდეგ მოქმედებდა, დიდი წინააღმდეგობა გაუწია იაპონელებს, მაგრამ ამ ჯარს შემდეგ გზა მოუჭრეს. 2 ოქტომბერს რუსები სანტასა და სკანძისთან გაჩნდნენ. ისინი მზის ჩასვლამდე დიდ წინააღმდეგობას უწევდნენ იაპონელებს.—ტყვე რუსების სიტყვით, ომი დიდხანს გასტანს, რადგან რუსეთმა გადასწყვიტა, დაამარცხოს იაპონია. უფრო დაზარალდა ციმბირის მესამე დივიზია. პირველ ოქტომბრის ბრძოლაში მოკლულთა რიცხი დიდია.

მუკდენი, 2 ოქტომბერი („რეიტერი“). დღეს ჩრდილოეთის ქარი უბერავს, ამიტომ ჯარი უმოქმედოდ ერთ ადგილასა სდგას. ცხარე ბრძოლაშია ის ჯარი, რომელიც ვაკეზეა. დაჭრილებს მუკდენში ჰგზავნიან.

ტოკიო, 3 ოქტომბერი („რეიტერი“). მიკადომ მადლობა გადაუხადა იაპონიის ჯარს წინ წასულ რუსების შეჩერებისა და, ცხარე ბრძოლის შემდეგ, იმათ ჯარის უკან დახევისათვის. რუსებმა შახეზე დასწვეს რკინის გზის ხიდი, მაგრამ იაპონელებმა 24 საათის განმავლობაში შეაკეთეს. იაპონელებმა ხელთ ჩაიგდეს რუსის რამდენიმე ზარბაზანი. ეს ზარბაზნები ვაგონით წამოიღეს.

რუსის მარჯვენა არმიის მთავარი სადგომი, 2 ოქტომბერი („რეიტერი“). ექვსი დღის ბრძოლის შემდეგ რუსები იძულებულნი გახდნენ უკან დაწეულიყვნენ. იაპონელმა გუსარებმა დღეს იერიში მიიტანეს რუსის მარცხენა ფრთეს ცენტრზე. ასტყდა მეტად მწვავე სროლა. ზარბაზნებისა და თოფების სროლამ გამოიწვია შუადღისას ჭექა-ქუხილი. დაუშინა წვიმამ და სეტყვამ, ამ დროს მოიყვანეს დაჭრილნი. პირველად გადაიტანეს ობოზი და საომარი მასალა. იაპონელები ყუმბარებს უშენდნენ, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, რუსები მთელ ღამეს გამაგრდნენ პოზიციებზე.

ტოკიო, 3 ოქტომბერი („რეიტერი“). კვირას საღამოს მიღებულ დეპეშაში სწერია, იაპონელთა მარჯვენა არმიის ფრონტზე ბრძოლა შეწყდაო, შუალა ჯარში ბრძოლა არ შეწყვეტილა. რუსის მარცხენა არმიის ფრონტზე სიწყნარეა. იაპონელებმა ხელში ჩაიგდეს რუსების ერთი ზარბაზანი და ორი პოვოზკა. მოდის მოკლე-მოკლე ცნობანი იაპონელთა ზარალის შესახებ.

მუკდენი, 4 ოქტომბერი, დილის 5 საათი („რეიტერი“). განაახლეს ბრძოლა, რომელიც მთელ დღეს გაგრძელდა, განსაკუთრებით კი შუაღამისას გამწვავდა. რუსებმა შეინარჩუნეს პოზიცია შახეზე და იერიში მიიტანეს იაპონელებზე. ამბობენ, რუსებმა იაპონელთა 6 ზარბაზანი ჩაიგდეს ხელშიო. დღეს საშინელი სროლა ასტეხეს. უმთავრესი ბრძოლა ვაკეზეა.

ხოტინი, 4 ოქტომბერი. გაგზავნილია შორეულ აღმოსავლეთში თავისუფალ მეომართა მეორე რაზმი. მესამე რაზმს ადგენენ.

ფაკკელბერგი (კუნძული ლანგელანდი) („რიცაუ“). 4 ოქტომბერს დილის $6\frac{1}{2}$ საათზე გამოჩნდა რუსის ბალტიის ესკადრა, რომელმაც $6\frac{3}{4}$ საათზე გაიარა კუნძულ ლანგელანდის სამხრეთ ნაწილის ახლოს. ესკადრა 24 გემისაგან შესდგება. დანიის კრეისერმა „ჰეიმდალ“-მა ზარბაზნის სროლით სალამი მისცა რუსის საადმირალო გემს, რომლიდან პასუხი გასცეს, და შემდეგ რუსის გემებთან ერთად ჩრდილოეთისკენ წავიდა. რუსის ესკადრა გაჩერდა ლანგელანდის სრუტეში, ბროლინისა და ფაკკელბერგის კანდელებს შუა და ქვანახშირი გადმოტვირთა ორ გემიდან, რომლებიც ლანგელანდის კუნძულთან უცდიდნენ ესკადრას.

5 ოქტომბერი

ლონდონი. რუსეთის აღმოსავლეთის რაზმის მთავარ-სადგომთან მყოფი „რეიტერი“-ს კორესპონდენტი იუწყება 3 ოქტომბერს, რომ ეს რაზმი 22 სექტემბერს წავიდა წინ ლიაოიანისკენაო. ფიქრობდნენ, რომ იაპონელებს პირველად იანტაისა და ბენიაპუზას შუა შეხვდებოდნენ. იმედით აღსავსე რაზმი წავიდა წინ და მაღლ მთიან ადგილებს მიაღწია. მოწინავე რაზმმა ბრძოლა დაიწყო; გენერალმა რენენკამფმა ამბავი გამოგზავნა, ტაიძიხეს მივაღწიეო. მთელი დღე იმისი ზარბაზნების გრიალი ისმოდა. 26 სექტემბერს რუსის რაზმმა ბენიაპუზას მიაღწია. მოწინავე რაზმმა საარტილერიო ბრძოლა დაიწყო, რომელიც დაღამებამდის გაგრძელდა. დაღამებისას რუსებმა დაიჭირეს იაპონელთა სანგრები, რომელთა უდიდესი ნაწილი დაუსრულებელი იყო. იაპონელებს წინააღმდეგობა არ გაუწევიათ. ჯარის შუა გული ტაიძიხედან 25 ვერსის მანძილზე იყო. დილის 11 საათსა და 4 წუთზე იანტაის მხარეს გამწვავებული ზარბაზნების სროლა ასტყდა და საღამომდის გაგრძელდა. დღისით გენერალმა შტაკელბერგმა მიიღო კუროპატკინისაგან პატარა ბარათი: კუროპატკინი ულოცავდა ნაყოფიერ წინსვლას და ბენიაპუზას დაჭერას. 28 სექტემბერს დაიწყო ბრძოლა შუაგულ ჯარში და მარცხენა ფლანგზე. მეოთხე კორპუსმა საშინელი სროლა აუტეხა იაპონელებს, რომელთაც ეჭირათ კარგი პოზიცია კლდიან სერის სიმაღლეზე. სამხრეთ-დასავლეთისკენ მოქცეულის რუსის ჯარის ფრონტი მუკდენის სამხრეთ-აღმოსავლეთით 28 მილის მანძილზე იყო. რუსის ქვეითა ჯარმა იერიში მიიტანა იაპონელების რაზმზე და განდევნა უმთავრეს პოზიციების წინ აღმართულ მთებიდან. იაპონელთა არტილერია სეტყვასავით აყრიდა ყუმბარებს წინწამოსულ რუსებს. უმთავრეს პოზიციაზე იერიში შუადღეზე მიიტანეს. დაიწყო საერთო ბრძოლა მთელის ჯარისა; ერთმა კორპუსმა იერიში მიიტანა შუმანლინისა და შოოშანლინის ულელტეხილებზე და მამაცად მიდიოდა წინ იმ დროს, როცა იაპონელები საშინლად აყრიდნენ ყუმბარებს და ტყვიებს, და სამ დღეში მიაღწია მტრის პოზიციის ბაზას. ბრძანება გასცეს, განეგრძოთ წინსვლა, და მალე რუსის არტილერიამ ჩინებულად ასტეხა სროლა და ჩააჩუმა იაპონელთა არტილერია.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“
4 ოქტომბერი

ტოკიო, 4 ოქტომბერი. იაპონელთა მარცხენა (ოკუს) და ცენტრის (ნოძუს) არმიები გადავიდნენ მდინარე შახეზე. მაგრამ დეზორგანიზაციის გამო ჯარი ჯერ-ჯერობით წინ ვერ წავა, ვიდრე სხვა და სხვა ნაწილი არ შეივსება. ამის შემდეგ ოიამა განაახლებს წინ სვლას. ოკუს ჯარის ფრონტს განსაცდელი მოელის, რადგან შეიძლება რუსებმა კონტრ-იერიში მიიტანონ.

პარიზი, 4 ოქტომბერი. „ტან“-ის კორესპონდენტი მუკდენიდან დეპეშით იუწყება, რომ რუსებმა განაახლეს წინ-სვლაო. რუსები გუშინ დილითვე უნდა წასულიყვნენ, მაგრამ გადასდეს.

მიღებულ ცნობებით, რუსის ესკადრა ტაკკებერგთან გაჩერდა, რომ ნახშირი მიიღოს სამ გემისაგან. ეს გემები ესკადრას უცდიდნენ კუნძულის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაპირას.

პეტერბურგი, 4 ოქტომბერი. დღეს მოვიდა ვილნოდან პეტერბურგს მანჯურიის მეორე არმიის უფროსი გენერალ-ადიუტანტი გრიპპენბერგი.

(ღამის დეპეშები იხ. მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

საუბარი იაპონიის ელჩთან. იაპონიის ელჩს ბარონ გაიაშის ლონდონში საუბრის დროს უთქვამს „უიკლი დისპაჩ“-ის თანამშრომლისათვის: „იაპონელების ჯარის ზარალზე მეტად აზვიადებული ცნობები იბეჭდება. იაპონიის მთავრობა საჭიროდ არც-კი სთვლის ამ ცნობების უარ-ყოფას. პორტ-არტურთან რუსებს იმდენივე ზარალი მოუვიდოდათ, რამდენიც იაპონელებს; იქნება რუსებს მეტი ზარალიც მოჰსვლოდეთ. ცნობები იაპონელების ჯარის ზარალზე სულ ჩინელების შეთხზულია. როცა რუსის ესკადრა პორტ-არტურიდან ზღვაში გავა, იცოდეთ, რომ მაშინ პორტ-არტურის ციხესაც მალე მოეღება ბოლო.

— დიდხანს გასტანს ომი?

— ეგ რუსებსა ჰკითხეთ. სანამ თითონ რუსები არ მოინდომებენ ზავის ჩამოგდებას, იაპონია ბრძოლაზე ხელს არ აიღებს.

— იქნება რუსებმა დიდხანს არ მოინდომონ შერიგება?

— შეიძლება ეგრეც იყოს, მაგრამ იქნება საქმე სულ სხვანაირადაც დატრიალდეს. ზოგს ავიწყდება, რომ იაპონიას დიდხანს შეუძლიან ომი.

ამის შემდეგ ელჩმა ყვითელ საფრთხეზე დაიწყო ლაპარაკი და ამტკიცებდა, რომ არავითარი „ყვითელი საფრთხე“ არ არსებობსო. იაპონია ისე იქცევა, როგორც ინგლისი, საფრანგეთი და სხვა სახელმწიფოები მოიქცეოდნენ, ესე იგი, იმას ეომება, ვინც გზაში უდგება. იაპონიის გაძლიერება ყველასათვის სასარგებლო იქნება. იაპონია ევროპას დახმარებას გაუწევს, ჩინეთისა და სხვა სახელმწიფოების განათლებას შეუდგება და ამით დიდ სარგებლობას მოუტანს ევროპას. ევროპის კაპიტალსა და ცოდნას რომ გზა გავუკაფოთ და კარი გავუღოთ შორეულ აღმოსავლეთში, ეს ჩვენთვისვე იქნება სასარგებლო. როცა ომი გათავდება და „ბანზაის“ ძახილი შესწყდება, ჩვენი დევიზი იქნება: ყველას თავისუფალ ცხოვრებისა და თავისუფალ ვაჭრობის ნება მიეცესო“.

ბრძოლა იანტაისთან. გენ. კუროპატკინმა სამხრეთისაკენ გაილაშქრა, მარშალი ოიამა იანტაის მაღაროების ჩრდილოეთით დაუხვდა და შეებრძოლა რუსის ჯარს. ჯერ ცოტა უკან დაიწია იაპონელების ჯარმა, მაგრამ 27 სექტემბერს თითონვე მიიტანა იერიში რუსებზე. გენ. ოკუმ 45 ვერსის სიშორეზე წაიწია ჩრდილოეთისაკენ და სოფელ ტადასანპუ დაიჭირა მდინარე შახეზე, სულ 30 ვერსის სიშორეზე მდინარე ხუნხედან, რკინის გზის დასავლეთით. ამავე დღეს გენ. ნოძუს არმიამაც მიიტანა იერიში და რუსის შუა რაზმი მდინარე შილიხეს გაღმა განდევნა. ნემიროვიჩ-დანჩენკოს დეპეშიდანა სჩანს, რომ იაპონელების უმთავრესი ჯარი სადგურ იანტაის სამხრეთით უნდა იდგეს პოზიციებზე ვანხუტუნთანა, ჩინტაიძისთან და ლილიანგოუსთან. ასე რომ 27 სექტემბერს იაპონელების მარცხენა ფრთამ 10—15 ვერსი წაიწია წინ.

ბრძოლა 26 სექტემბერს დაიწყო. რამდენ ხანს გასტანს ეს ბრძოლა, ძნელი გამოსაცნობია. 26 სექტემბერს გენ. კუროპატკინმა მხოლოდ იაპონელების ჯარის დასაზვერად მოახდინა ბრძოლა. 27 სექტემბერსაც მხოლოდ რუსის არტილერია ებრძოდა იაპონელებისას. 28 სექტემბერს-კი ქვეითა ჯარიც ჩაერია და დიდი ბრძოლა გაიმართა. რით გათავდა ეს ბრძოლა, ჯერ არ ვიცით. (წერილი 1 ოქტომბერსაა დაწერილი).

კერძო ცნობებიდანა სჩანს, რომ გენ. კუროპატკინს ასეთი პლანი აქვს შედგენილი: იაპონელების მარჯვენა ფრთეს (გენ. კუროკის არმიას) გვერდიდან მოუაროს და დასავლეთისაკენ, მდ. ხუნხესაკენ მიაწყვდინოს. „სენტრალ ნიუს“-ის სააგენტო“ იუწყება ტოკიოდან, იანტაის მაღაროებს ახლო, რკინის გზის აღმოსავლეთით იაპონელებს შვიდი დივიზია რუსის ჯარი დაეცა, რკინის გზის დასავლეთით კი მხოლოდ სამი დივიზიაო. გენ. კუროპატკინს სულ 16—18 დივიზია ჯარი ჰყავს; ერთ დივიზიასაც უკან დასტოვებდა ზურგის გასამაგრებლად, ასე რომ 25 სექტემბერს გენ. კუროპატკინს კიდევ 5 ან 7 დივიზია ეყოლებოდა რეზერვში (მარქაფად). მაგრამ ერთი დივიზია ან იქნება დივიზია ნახევარი, ეტყობა, გენ. კუროკის არმიის გვერდის შემოსავლელადაა გაგზავნილი ბენსიხუსა და ცზიანჩანისაკენ. ასე რომ გენ. კუროპატკინს რეზერვში $3\frac{1}{2}$—6 დივიზია უნდა ჰყავდეს.

როგორც ზევითაც იყო ნათქვამი, გენ. კუროპატკინმა 7 დივიზია რკინის გზის აღმოსავლეთით გაგზავნა იანტაის სადგურისაკენ. ამ 7 დივიზიის მცირე ნაწილი, ეტყობა, თითონ სადგურ იანტაისაკენ გაემართა მანდარინის გზით, უმთავრესი ნაწილი-კი იანტაის მაღაროებისაკენ გაემართა, ასე რომ ყველაზე მედგარი იერიში რუსებმა იანტაის მაღაროებთან მიიტანეს იაპონელებზე. ამ ადგილას გენ. ნოძუს არმიის მარჯვენა ფრთე და გენ. კუროკის არმიის მარცხენა ფრთე იდგნენ. კუროკის არმია მაშინ მომეტებულ ნაწილად ბანიუპუზა-ბენსიხუს გზაზე იდგა;

ბანიუპუზში მხოლოდ ერთი დივიზია ყოფილა ჩაყენებული. კუროკიმ ბანიუპუზა თითქმის უბრძოლველად დასცალა და თავისი ჯარი იანტაის მაღაროებისაკენ წაიყვანა. კუროკის ჯარი გამაგრდება თუ არა მაღაროებთან, ნოძუს არმია დასავლეთისაკენ გადიწევს და სადგურ იანტაისთან დადგება.

რუსის არმიის მარჯვენა ფრთაზე, ცხადია, სამი დივიზია მოქმედებს. გენ. კუროპატკინს ეფიქრება, გენ. ოკუმ რუსის მარჯვენა ფრთას გვერდიდან არ მოუაროსო და ამიტომ გაგზავნა იქითკენ ასეთი ძლიერი რაზმი. ეს სამი დივიზია რკინის გზასა და მდინარე ხუნხეს შუა გაემართა ქვევითკენ და გენ. ოკუს ჯარს დაუახლოვდა. გენ. ოკუს სექტემბერში დაახლოვებით სამი დივიზია ჰყავდა. როგორც ზევითაც იყო ნათქვამი, 27 სექტემბერს გენ. ოკუმ იერიში მიიტანა რუსის რაზმზე და უკან დაახევინა. „რუსკოე სლოვო“-ს კორესპონდენტი იუწყება: 28 სექტემბერს გენ. ოკუმ მედგარი იერიში მიიტანა გენ. ბილდერლინგისა და გენ. სლუჩევსკის კორპუსებზეო. გენ. სახაროვის დეპეშიდანა სჩანს, რომ იაპონელებს ამ ბრძოლის დროს ზოგიერთი პოზიცია წაურთმევიათ რუსებისათვის. 28 სექტემბრის ბრძოლამ ცხადად გამოაჩინა, რომ გენ. ოკუ რუსის მარჯვენა ფრთას გვერდიდან შემოვლას უპირობს.

მაგრამ ამავე დროს ცხადად გამოჩნდა, რომ გენ. კუროპატკინიც გენ. კუროკის არმიას უპირობს გვერდიდან შემოვლას. ამისათვის რუსის არმიის სარდალს 6 დივიზია ჯარი იანტაის მაღაროებისაკენ გაუგზავნია კუროკის წინაამდეგ. ამავე დროს გენ. რენენკამფი თავის ცხენოსან რაზმითა და ერთის ბრიგადა ქვეითა ჯარით (ორის პოლკით) მდინარე ტაიძიხეში გასულა, ბენსიხუს აღმოსავლეთით და სიხეიან-დაოიდინშანის გზას დასცემია. კუროკის არმიას ამ გზით მოსდის სამხედრო და საკვები სურსათი; მაგრამ მარშალი ოიამა იუწყებოდა, გენ. კუროკიმ გენ. რენენკამფი მოაშორა ამ გზასაო, ამავე დროს სულ მცირედ ერთი დივიზია რუსის ჯარი ბენსიხუს ჩრდილოეთით დაეცა კუროკის რაზმს, ასე რომ გენ. კუროპატკინმა დივიზია ნახევარი ჯარი მაინც გაგზავნა ბენსიხუსაკენ. ამას გარდა ერთი რუსის რაზმი სინცინტინიდან სამხრეთისაკენ გაემართა და 24—27 სექტემბერს იერიში მიიტანა იაპონელების რაზმზე ციანჩანში, საიმაძის გზაზე. ყველაფრიდანა სჩანს, რომ გენ. კუროპატკინს გაცილებით მეტი ჯარი უნდა ჰყავდეს, ვიდრე იაპონელებს, თორემ თავის რაზმებს ასე არ გაჰფანტავდა.“

მარშალი ოიამა იუწყებოდა, იაპონელების რაზმმა ციანჩანიდან განდევნა რუსის რაზმიო. („პ. ვ.“).

რუსის არმიის გალაშქრება სამხრეთისაკენ. ნემიროვიჩ-დანჩენკო დეპეშით აცნობებს „რუსკოე სლოვო“-ს: რუსის სალდათები კარგ გუნებაზე არიან. გალაშქრებამ და წინ წასვლამ ყველა გაახალისა. დაღალულ და დიდად დაზარალებულ პოლკებს ვეღარ იცნობთ. რუსეთიდან ახლად მოსულ სალდათებს მარტო პორ-არტური აკერიათ პირზე: „დროა დავიხსნათო“. გენ. კუროპატკინის ბრძანებამ ყველა დაარწმუნა, რომ უკან აღარ დავიხევთო, ბრძანებას რომ უკითხავდნენ, ჯარი ყველგან „ურა“-ს ყვიროდა. რუსის არმიამ 22 სექტემბერს გაილაშქრა სამხრეთისაკენ. 23 სექტემბერს სოფელ სანლინძინში (მუკდენს ქვემოდ) მივედით. 24 და 25 სექტემბერს გენ. კუროპატკინმა პოზიციები დაათვალიერა... შტაბის უფროსი გენ. სახაროვიც არმიასთანაა... პირველ დღეს საშინელი ამინდი იდგა, ჩრდილოეთის ქარი ჰქროდა, კაცს ტანში უვლიდა. დილით 5 გრადუსი სიცივე იყო; მეორე დღეს დათბა, ცამ მოიწმინდა.

„ბერლინერ ტაგებლატ“-ის პეტერბურგელი კორესპონდენტი იუწყება: 26 სექტემბრიდან რუსებმა მუკდენიდან სამხრეთისაკენ გაილაშქრეს სინმინტინისა, მუკდენისა, იანტაისა და ფუშუნის გზებით. ციმბირის მე-6 კორპუსიც (გენ. სობოლევისა) სხვა ჯარს გაჰყვა. ტელინიდანაც დაიბარეს ჯარი. გენ. რენენკამფისა, სამსონოვისა და მიშჩენკოს ყაზახთა რაზმები და თავად ორბელიანის კავკასიელთა რაზმი ქვეითა ჯარს წინ მიუძღვიან. ამბობენ, რუსის ჯარმა პეტერბურგიდან მიღებულ ბძანების თანახმად გაილაშქრაო. გენ.-ად. ალექსეევი და იმის შტაბის უფროსი გენ. ჟილინსკი არმიასთან იმყოფებიან.

როგორც დეპეშამ გვაცნობა, გენ.-ად. ალექსეევი ხარბინში დაბრუნებულა.

„ბერლინერ ტაგებლატ“-ი სწერს: რუსებმა უდროოდ გაილაშქრეს სამხრეთისაკენო. ეხლა ორსავ მხარეს თანასწორად უნდა ჰყავდეს ჯარი. მართალია რუსებს მოუვიდათ ახალი ჯარი, მაგრამ იაპონელებმაც, უეჭველია, მე-7, მე-8 და კუნძულ ფორმოზის დივიზიებიც გადმოიყვანეს მანჯურიაში. ამ ომმა დაამტკიცა, რომ იაპონელების ჯარი მეტად მამაცი და კარგად გაწვრთნილი ჯარია, თანაც გამარჯვებითაა აღფრთოვანებული. ამიტომ დარწმუნებული ვართ, რომ ეხლაც კარგად დაუხვდება რუსის ჯარსაო.

„ლოკალ ანცაიგერ“-ი სწერს: გენ. კუროპატკინს ამ ჟამად 9 კორპუსი ქვეითა ჯარი, $5^1/_2$ დივიზია ცხენოსანი ჯარი ჰყავს და 1000-ზე მეტი ზარბაზანი აქვსო.

გერმანელი გენ. ფეილი ჰფიქრობს, გენ. კუროპატკინს ეხლა გაცილებით მეტი არტილერია ჰყავს, ვიდრე იაპონელებსაო.

ამერიკულ გაზეთებს მეტად გაუკვირდათ გენ. კუროპატკინის გალაშქრება სამხრეთისაკენ. რუსის ჯარმა სამხრეთისაკენ, ალბად, პოლიტიკურის მოსაზრებით გაილაშქრაო,— შენიშნავდნენ გაზეთები. („ნ. დ.“).

ახალი ამბავი

◆ გუშინ, 5 ოქტომბერს, **მემკვიდრე ცესარევიჩის და დიდის მთავრის ალექსი ნიკოლოზის ძის** სახელწოდების დღეს, საქართველოს ეგზარხოსმა ალექსიმ ალექსანდრე ნეველის სამხედრო ტაძარში სამღვდელოების თანამწირველობით გადაიხადა წირვა და პარაკლისი. პარაკლისს დაესწრნენ კავკასიის მთავარმართებლის თანამდებობის აღმასრულებელი გენერალი ა. ა. ფრეზე, ტფილისის გუბერნატორი, წარმომადგენელნი სამოქალაქო და სამხედრო დაწესებულებათა, გენერლობა და მრავალი ხალხი. წირვის შემდეგ არსენალის გორიდან 21-ჯერ გაისროლეს ზარბაზანი. ამავე დღეს პარაკლისები გადაიხადეს სომხეთა ეკლესიებსა, შიიტთა და სუნიტთა მეჩეთებსა და ებრაელთა თორაში. დღისით ქალაქი მორთული იყო ბაირაღებით, ხოლო საღამოთი გაჩირაღდნებული.

◆ ოფიციალურის ცნობებით, 2 ოქტომბერს **ბაქოში ხოლერით ავათ გამხდარა** 2, გადაცვლილა ერთი კაცი. როგორც ეტყობა, ხოლერა შესამჩნევად კლებულობს.

◆ **საქართველოს ეგზარხოსი 15 ოქტომბერს** მიემგზავრება ზაქათალის ოლქში. ეგზარხოსი რკინის გზით წავა სადგურ ევლახამდის, იქიდან ნუხში წავა, ნუხიდან კახში, სადაც აკურთხებს ახლად აგებულ ტაძარს; კახიდან ეგზარხოსი გადავა ქ. ზაქათალაში და სოფლებ მალიბაშს, ალიბეგლოს, ქოთუკლოს, კორალანს, თასმალოს, ბელოქანს, ლაგოდეხს და სიღნაღის გზით ტფილისს დაბრუნდება ამ თვის გასულს.

◆ **უწმ. სინოდიდან საქართველოს** ეგზარხოსმა მოწერილობა მიიღო. ამ მოწერილობის ძალით, ეპარქიის ეპისკოპოსებს ამიერიდან ნება ეძლევათ, სამხედრო უწყების წინაშე თვითონვე აღძრან ხოლმე შუამდგომლობა ჯარიდან სამუდამოდ განთავისუფლების შესახებ იმ ყმაწვილ კაცთა, რომელნიც სათადარიგო ჯარში არიან ჩარიცხულნი და მღვდლად კურთხევას ან ბერად აღკვეცას აპირობენ.

◆ ამიერ კავკასიის რკინის გზის ლიანდაგის უფროსი ინჟენერი აკორონკო **ტფილისში დაბრუნდა პეტერბურგიდან**, სადაც იგი სამსახურის საქმების გამო იყო.

◆ დღეს, 6 ოქტომბრისათვის, საღამოთი, სამხედრო შტაბის სადგომში გენერლის ა. ა. ფრეზეს თავმჯდომარეობით დანიშნულია კრება რუსეთის **საგეოგრაფო საზოგადოების** კავკასიის განყოფილებისა.

◆ როგორც გვატყობინებენ, **კახეთის** გზა სადგურ ვაზიანსა და სოფ. სართიჭალას შუა ძლიერ გაფუჭებულა და მიმოსვლა გაძნელებულია.

◆ კავკასიის სააბრეშუმო სადგურზე დასრულდა მიკროსკოპიულად გამოკვლევა კერძო ფირმების მიერ წარმოდგენილ **აბრეშუმის თესლისა.** ეხლა სადგური იმ თესლის გამოკვლევას შეუდგება, რომელიც თვითონ დაამზადა.

◆ კვირას, 10 ოქტომბრისათვის, დანიშნულია კურთხევა ხართუხის სკოლების ახლად აგებულ სადგომისა.

◆ ტფილისის საბჭოს ის კომისია, რომელსაც მინდობილი აქვს ქალაქის მცხოვრებთა ჯანმრთელობისთვის ზრუნვა, დღეს, 6 ოქტომბერს, ხმოსან-ტეხნიკოსთა თანადასწრებით დაათვალიერებს მტკვრის მარჯვენა ტოტს იმის გამოსარკვევად, უნდა ამოივსოს იგი მიწით, თუ არა.

◆ როგორც გვატყობინებენ, 28 სექტემბერს გროზნის ოლქიდან გადმოსულა 12 შეიარაღებული მთიელი, გადუვლია თუშეთი და პანკისის ხეობიდან გაურეკიათ 50 სული მსხვილ-ფეხა საქონელი.

◆ როგორც ქ. ახალციხიდან გვატყობინებენ, დავით ვონციევის 10 წლის ბალღი არტაშა, მოწაფე 1 კლასისა, სადღაც გასულა და უგზო-უკვლოდ დაკარგულა.

◆ ევლახი. 3 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე, ევლახის დეპოს საწყობის გამგეს კუზნოვს, ეზოში გავლის დროს, ვიღაც დაეცა და თავში ჯოხი დაჰკრა. დაშავებული ბაქოს საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

◆ აქსტაფა. 4 ოქტომბერს, მანევრების დროს, ისარს №-13-თან ლიანდაგს გადასცდა ორი ცარიელი ვაგონი, რადგან ისარი სწორედ არ იყო დაყენებული. უბედურება არა მომხდარა-რა.

◆ დალმამეტლი. 3 ოქტომბერს, საღამოს 9 საათზე, ვიღაც ბოროტ-განმზრახველნი თავს დაეცნენ სადარაჯო ბუდკას მე-485 ვერსზე. ხუთჯერ გაისროლეს ბერდანა ფანჯრიდან, შემდეგ გატეხეს საკუჭნაოს კარები, გაიტაცეს ოთხი ცხვარი და სამი თხა და დაიმალნენ.

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

ქუთაისი, 5 ოქტომბერი.

ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებო კრებამ დაადგინა, უმაღლესად ნაბოძები ოცი ათასი მანეთი მოხმარდეს სტიპენდიებს. კრება დაიხურა.

ქალაქის საქმეები

4 ოქტომბერი

სამწუხარო შთაბეჭდილება მოახდინა საბჭოს დღევანდელმა სხდომამ: ჩვეულებრივ გვიან დაიწყო, დაწყებისას ისეთი მაღალი ლაპარაკი ჰქონდათ გამართული ზ. ზ. ხმოსნებს, რომ ყურთა სმენა არ იყო, გათავებით-კი სხდომა თერთმეტის ნახევარზე გათავდა—თავ-ქუდ მოგლეჯილი გარბოდნენ ხმოსნები, მიუხედავათ თავმჯდომარის ხვეწნა-მუდარისა. ერთი საქმეც-კი არ გადაუწყვეტიათ თექვსმეტიდან, რომელიც უნდა განეხილა საბჭოს ამ საღამოს.

არ უნდა გვიკვირდეს ჩვენი ქალაქის სრული მოუწყობლობა ასეთ პატრონების ხელში.

ლაპარაკობდნენ ქალაქის გამგეობის საიურისკონსულტო ნაწილის რეორგანიზაციაზე.

დიდი ხანია დამტკიცდა, რომ ეს ნაწილი ქალაქის გამგეობისა ძალიან ცუდ მდგომარეობაშია და ქალაქიც დიდათ ზარალობს, რადგან უყურადღებობით მისი ქონება დღითი-დღე ილევა, სხვის ხელში გადადის. ბოლოს ხმოსნებიც მიხვდნენ ამას და დაადგინეს, რომ გამგეობას ხმოსან—იურისტებთან ერთად შეემუშავებია პროექტი საიურისკონსულტო ნაწილის ახლად მოწყობისა. პროექტი შეადგინეს და წარმოუდგინეს საბჭოს. ამ პროექტით უნდა მოწვეულ იქნას იურისკონსულტი 4000 მ. ჯამაგირით, ორი თანაშემწე (1800 და 1200 მ. ჯამაგირი) და ერთიც საგანგებო აგენტი 600 მ. ჯამაგირით. შეუდგნენ საქმის „განხილვას“, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ის ხმოსნები, რომელნიც სხვაზე უფრო თხოულობდნენ რეფორმას, დღეს რაღაც მოსაზრების მიზეზით, სულ სხვა ჰანგებზე მღეროდნენ: პირ-და-პირ რომ შერცხვათ უარის თქმა, მოითხოვეს, ეს პროექტი განხილულ იქნას იმ დროს, როცა მთელის გამგეობის რეორგანიზაციაზე გვექნება მსჯელობაო; და როცა ამას თხოულობდნენ, კარგად იცოდნენ, რომ გამგეობის რეორგანიზაციის საქმე 6-7 წლის შემდეგ თუ გადაწყდება. როგორც იქნა, გადაწყდა, რომ დღესვე განეხილათ ეს პროექტი, მაგრამ ეხლა სხვა მხრით მოუარეს საქმეს—4000 დიდი ფული არისო, ნაკლები დავუნიშნოთო. თავმჯდომარემ კენჭი უყარა ჯამაგირის საკითხს: 4000-სზე უარი სთქვეს, არც 3600 მიიღეს, 3000 დიდი თანხა არისო; ბოლოს 2600-ზე უნდა ჩამოსულიყვნენ, მაგრამ ამ დროს ხმ. მიქელაძემ აუხსნა საბჭოს, რომ პროექტი უკვე უარყოფილია მოხდენილ კენჭის ყრით, რადგან ასეთის მცირედის თანხით რეორგანიზაცია ყოვლად შეუძლებელი არისო. რეორგანიზაციის ძველი მომხრენი და დღეს მტრად გადაქცეულები სიხარულს მიეცნენ. თ. მიქელაძემ სცადა საქმის ხსნა—წინადადება შემოიტანა, ისევ მივანდოთ გამგეობას და ხმოსან-იურისტებს უფრო შემუშავებულ პროექტის წარმოდგენაო. საბჭომ მიიღო ეს წინადადება.

ერთის კენჭის ყრით საბჭომ დაადგინა—საქმე საჩქაროა და ეხლავ უნა განვიხილოთო; მეორე კენჭის ყრით სულ უარჰყო პროექტი; მესამე კენჭის ყრით კი ეს უარყოფილი საქმე ისევ განაახლა და ხელახალ შესამუშავებლად გამგეობასა და ხმოსან-იურისტების კომისიას გადასცა. როგორ აიხსნება ასეთი იშვიათი წაჯექ-უკუჯექობა. ავ-ენანი ამტკიცებენ, რომ ქალაქის თავის არჩევნების სიახლოვეა მიზეზი: რეორგანიზაცია გამოიწვევდა ცვლილებას ეხლა საიურის-კონსულტო შტატში და ამ შტატს კი კენჭების შევსებაში უფრო მეტი ნიჭი და გამჭრიახობა აქვს, ვიდრე სასამართლო საქმეების გაძღოლაშიო. დავიჯეროთ?

პრესსა

„რუსკ. ვედომ.“-ი ეხება მოწინავე წერილში საყურადღებო საგანს,—ადმინისტრატიულ სასჯელის გადაწყვეტის წეს-რიგს—და, სხვა შორის, ამბობს:

ამ ჟამად რუსეთში მოქმედებს 1881 წელ გამოცემული დებულება ადმინისტრატიულ სასჯელის შესახებ. სასჯელის გადაწყვეტის უფლება მიეცა არა მარტო სასამართლოს, არამედ ადმინისტრაციასაც. ამინისტრაციას უფლება აქვს ევროპის ან აზიის რუსეთის სხვა-და-სხვა ადგილას გადაასახლოს ესა თუ ის მავნედ ცნობილი პირი, სხვა-და-სხვა ვადით (ხუთ წლამდე), პოლიციის ზედამხედველობას დაუმორჩილოს და სასამართლოს მიერ განუხილავათ დროებით შეზღუდოს ამ პირთა სამოქალაქო უფლებანი. ადგილობრივი ადმინისტრაცია, რომელმაც სასჯელი დაადო იმის მიერ დამნაშავედ ცნობილ პირს, მხოლოდ მოხსენებას ჰგზავნის შინაგან საქმეთა სამინისტროში საბჭოს განსახილველად და დასამტკიცებლად. მიმდინარე წლის 22 სექტემბერს გამოცემულის ახალის წესით, საზოგადო პოლიციის გამგებლობა შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგს დაევალ რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან პრ ტიკულად იგი წინადაც ასრულებდა ამ თანა დებობას. ნამდვილად-კი შინაგან საქმეთა მინ ტრი დღესაც უმთავრესი გამგეა პოლიციისა. ა საქმის გაუმჯობესება პოლიციის უმთავრესს გამგეობის შეცვლაზე კი არ არის დამოკიდებული, არამედ თვით ამ ადმინისტრატიულ ზომების შეცვლაზე. უკანასკნელ 25 წლის განმავლობაში ბევრჯელ შეცვლილა პოლიციის უმაღლესი გამგეობის შინაგანი წყობილება, თვით ადმინისტრატიული სასჯელი კი უცვლელად დარჩა. ამიტომ საჭიროა განხილულ იქმნას კანონმდებლობა ადმინისტრაციისადმი მინიჭებულ უფლებათა შესახებაო.

⁂

გაზ. „რუს“-ს მოჰყავს ლიაოხეს რაზმის უფროსის კოსაგოვსკის აზრი ხუნხუზების შესახებ, რომელიც მან ციმბირის ერთი გაზეთის თანამშრომელს გაუზიარა პირად საუბრის დროს. გენერალის აზრით, ხუნხუზთა წინამძღოლნი—ტაიბენი, ტულისენი და სხვები—ფეოდალები არიან, და თვითეულს თავისი სამფლობელო აქვს. ჩვენ, რუსებს, უნდ მხარი მიგვეცა მათთვის, უნდა გაგვემტკიცებია მათი უფლება და ამნაირად მანჯურიაში უფრო მაგრად მოვიკიდებდით ფეხსაო.

ეს აზრი,—ამბობს გენერალის მოსაუბრე,—ალბად შუა-აზიაში ჩვენმა პოლიტიკამ ჩაუნერგა გენერალს: ჩვენ შევქმენით ძლავრი მემამულეები იქ, სადაც ისინი წინად არ ყოფილან, და შევასუსტეთ თავად-აზნაურობა იმ ქვეყნებში, სადაც მას მეტად დიდი ძალა ჰქონდა, მაგალითად, საქართველოშიო.

⁂

გაზ. „რუს“-ს მოჰყავს საყურადღებო საუბარი შინაგან საქმეთა მინისტრთან, თავ. სვიტოპოლკ-მირსკისთან. მინისტრს, სხვათა შორის, შემდეგი უთქვამს თავის მოსაუბრესთვის:

უნდა გამოვტყდე, რომ ბევრ საკითხზე ჯერ ჯერობით გადაჭრილ პასუხს ვერ გეტყვით. აქამდის ბევრ საყურადღებო საქმეს მოშორებული ვიყავი და მხოლოდ ეხლა თანდათან ვეცნობი ავიღოთ, მაგალითად, საკითხი საგლეხო რეფორმ შესახებ. უკვე შეგროვებულია დიდძალი მასალა,

---

ფელეტონი

ინგლისელ მწერლის აზრი მეურნეობის შესახებ

მე მგონია, ჩვენის საზოგადოებისათვის საინტერესო იქნება გაიგოს გამოჩენილ ინგლისელ მწერლის აზრი მეურნეობის შესახებ, მით უმეტეს, რომ იგი სრულიად განსხვავდება თითქმის ყველა თანამედროვე ეკონომისტის აზრისაგან. ამას გარდა, ჩვენი ქვეყანა, როგორც ნატურალურ წარმოების ქვეყანა, ძლიერ დაინტერესებულია, გაიგოს თანამედროვე სამეურნეო საკითხები.

ავტორის აზრით, ამ უკანასკნელ 30 წლის განმავლობაში მრეწველობისა და ვაჭრობის ისტორია მათის დეცენტრალიზაციის ისტორია იყო. ის ძველი დრო, როდესაც ბატონობა ერთ რომელიმე ერს ეკუთვნოდა, წავიდა. ერთ დროს, მაგალითად, იტალია პირველი იყო; განვითარდა ვაჭრობა-მრეწველობა. შემდეგ იტალიამ ესპანიას დაუთმო პირველობა. აქედან პირველობა გადავიდა ჰოლანდიაში. ბოლოს ინგლისი გაბატონდა. [illegible] და კი სულ ახალი პირობები გაჩნდა. ვაჭრობა-მრეწველობამ საერთაშორისო ხასიათი მიიღო, იგი ქვეყანის მთელს და განათლებულ ერებს, რადგან ძველ დროს ვეღარ დაუბრუნდებიან, იძულებულნი არიან, ახალი გზა გამოსძებნონ.

ცოდნა და აღზრდა ყველგან განვითარდა, საერთაშორისოდ გახდა. ინგლისელის მექანიკური ცოდნა, ამერიკელის ბუმბერაზულად საქმის დაყენება, ფრანგის სისტემატიური გონება, გერმანელის პედაგოგია ეხლა ყველა ერის ნიჭსა და ძალას წარმოადგენს. ამ ახალ პირობათა ხასიათის გაგება ძლიერ ადვილია. დასავლეთ ევროპის მრეწველ ერებს ძლიერ უჭირთ საქმე, როდესაც საზღვარ-გარედ ჰყიდიან თავიანთ ნაწარმოებს და ნაცვლად საზრდო შეაქვთ. ეს გაჭირვება თანდათან მწვავდება. ამიტომ ეს ერებიც უფრო და უფრო იძულებულნი ხდებიან შინ მოიყვანონ საჭირო საზრდო. აგრეთვე იძულებულნი ხდებიან თავიანთი ნაწარმოები ისევ შინაურ მცხოვრებთა შორის გაასაღონ. და რაც მალე შეერთდება ერთ საქმედ გადაიქცევა საზრდოსა და სამანუფაქტურო საქონლის წარმოება, მით უმჯობესი იქნება.

მაგრამ ამის წინააღმდეგ ორი აზრია გამოთქმული: პირველი ის, რომ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში ისეთი დიდი რიცხვია მცხოვრებთა და ეს რიცხვი ისეთის სისწრაფით იზრდება, რომ შეუძლებელია თავიანთ მიწა-წყალზე მცხოვრებთ მოიყვანონ სამყოფი საზრდო და მრეწველობისათვის საჭირო დამუშავებული მასალა. ამიტომაც ხდება, რომ სამანუფაქტურო საქონელი გააქვთ და საზრდო და მასალა შემოაქვთ. მეორე ის, რომ კიდევაც რომ შესაძლებელი იყოს მთელ დასავლეთ ევროპის მცხოვრებთათვის სამყოფი საზრდოს მოყვანა, ეს სახეირო არ იქმნება, რადგან შესაძლებელია ამ საზრდოს შემოტანა უფრო იაფად საზღვარ-გარეთიდანაო. ჩვენის ავტორის ფიქრით, შემცდარ აზრს ქადაგობენ თანამედროვე ეკონომისტები და პოლიტიკოსები.

ავიღოთ სრულიად უკიდურესი შემთხვევა,— ამბობს ავტორი. შესაძლებელია თუ არა, რომ დიდ ბრიტანიის მიწამ, რომელიც დღეს ბრიტანიის მცხოვრებთა მხოლოდ ერთ მესამედს აძლევს საზრდოს, შესაძლებელია თუ არა, რომ ამ მიწამ, რომელიც უდრის 56,000,000 აკრს (თუ ყველაფერს ჩავთვლით: კლდეებს და ტყეებს, ჭაობებსა და ტბებს, ქალაქებსა, რკინის გზებს და მინდვრებს) და რომლიდანაც მხოლოდ 33,000,000 აკრია გამოსადეგი დასამუშავებლად, მისცეს საზრდო 33,000,000 ადამიანს? (23% მთელის ინგლისის ზედა-პირისა, 40% უელსისა, 75% შოტლანდიისა დაფარულია ტყით, მთებით, კლდეებით, ტბებით და სხვ. მხოლოდ დანარჩენი, ე. ი. 32,777,513 აკრი, რომელიც ან დამუშავებულია, ან საბალახოდ არის გაშვებული, აღიარებულია დღეს სამუშავებლად გამოსადეგ მიწად). ყველა იმ აზრისაა, რომ ეს შეუძლებელიაო. მეცნიერებსაც კი აქსიომად მიაჩნიათ ეს შეუძლებლობა. ჩვენის აზრით კი ეს შესაძლებელიაო, დასძენს ავტორი.

ავიღოთ ცნობები, ბ-ნ ლოუზის მიერ „ტაიმს“-ში მოთავსებული. ის ამბობს 1887 წლის ანგარიშში, რომ რვა წლის (1853—1860) განმავლობაში ინგლისში დახარჯულ პურის თითქმის სამი მეოთხედი შინ მოყვანილი იყო, ხოლო ერთ მეოთხედზე ცოტა მეტი—შემოტანილი საზღვარ-გარეთიდანაო. მაგრამ 25 წლის შემდეგ ეს პროპორცია თითქმის უკუღმა გადატრიალდა, ე. ი. რვა წლის (1879—1886) განმავლობაში დახარჯულ პურის ერთ მესამედზე ცოტა მეტი იყო მხოლოდ შინ მოყვანილი, ხოლო ორი მესამედი—საზღვარ-გარეთიდან შემოიტანეს. არც მცხოვრებთა გამრავლება რვა მილიონით, არც პურის ხარჯვის მომატება $^1/_{10}$ ბუშელით სულზედ არ ჩაითვლება ზემოხსენებულ მოვლენის მიზეზად. 1853—1860 წლებში ინგლისის მიწის ორი დამუშავებული აკრი ასაზრდოებდა თვითო სულს. რად გახდა თვითო სულის სასაზრდოოდ სამი აკრი საჭირო 1887 წელს? სრულიად ადვილია ამისი პასუხი: მიწის მუშაობას ნაკლები ყურადღება ექცეოდა, მეურნეობა დაეცა. 1853—60 წლებიდან დაწყებული პურით დათესილი ზედაპირი 1,590,000 აკრით შემცირდა, ამიტომაც საშუალო მოსავალი 1883—86 წლებისა ნაკლები იყო 40 მილიონ ბუშელით 1853—60 წლებისაზედ. ეს დეფიციტი კი წარმოადგენდა 7 მილიონ მცხოვრებისათვის სამყოფ საზრდოს! იმავე დროს გაზაფხულის მცენარეულობის მოსაყვანმა მიწამ იკლო თითქმის 560,000 აკრით, რაიცა აგრეთვე წარმოადგენდა საშუალო მოსავლის მიხედვით (30 ბუშელი აკრზედ) იმავე 7 მილიონ მცხოვრების საზრდოს. თუ ბრიტანიამ 1887 წ. საზღვარ გარეთიდან შეიტანა 17 მილიონ მცხოვრებისათვის საჭირო საზრდოდ 1866 წელს-კი 10 მცხოვრებთათვის საჭირო, ეს იმიტომ, რომ ორ მილიონ აკრზე მეტი მიწა დასტოვეს დაუმუშავებელი (1853—60 წლ. პურით დათესილი ადგილი უდრიდა 4,092,160 აკრს; საშუალო მოსავალი იყო 14,310,779 ქვორტერი. 1884—87 წ. კი იყო 2,509,055 აკრი და საშუალო მოსავალი 9,198,956 ქვორტერი). ეს ფაქტები ძლიერ კარგად იცის ყველამ,—ამბობს ავტორი,— მაგრამ მაინც გაიძახიან: თუ პურის მოსავალმა იკლო, სამაგიეროდ ხორცი და რძე ბევრი გვაქვსო, თვით მეურნეობის ხასიათი შეიცვალაო. მაგრამ ესეც სიცრუეა. როდესაც გადარებთ 1860 და 1887 წლებს, გხედავთ, რომ იგივე უკანსვლა ეტყობა მწვანილეულობის კულტურასა და სხვასაც. კარტოფილით დათესილი ადგილი შემცირდა 280,000 აკრით, მხლისა—180,000; და თუმცა ჭარხლითა და სხვა მცენარეთი დათესილ ადგილის რაოდენობა გადიდდა, მაგრამ ერთად ყველა ამ მც მოსაყვანი ადგილი შემცირდა 330,000 აკრით მხოლოდ მუდმივ საბალახოთა (2,800,000 აკრი და სათიბთა (1,600,000 აკრით) სივრცემ იმატა, მაგრამ, სამაგიეროდ, ამის შესაფერად ნახირს არ უმატნია.

1887 წლიდან საქმე სულ უკან-უკან მიდიოდა. დიდ ბრიტანიაში 1885 წ. ის ადგილი, სადაც მარცვლოვანი მცენარე იყო დათესილი, უდრიდა 8,392,006 აკრს. ეს ძლიერ მცირეა შედარებით, რასაც მოხმარება შეიძ რამ ეს მცირეც უფრო შემცირდა 1895 წლ

ელექტრონის სტამბა „წიგნის გამომც. ქართვ. ამხ—ბა“.
Электроп. „Груз. Изд. Т—ва“.

რომელსაც მე გაზეთების საშუალებით გავეცანი. ამ საკითხს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენ დროში. ჯერ-ჯერობით-კი მხოლოდ ჩემი საკუთარი აზრი შემიძლია გამოვსთქვა ზოგიერთ საკითხის შესახებ.

მინისტრი საზოგადოდ დიდ მნიშვნელობას აძლევს ერობას და სწამს, რომ ერობის განახლება სამშობლოს კეთილდღეობას დაეტყობა. მინისტრი სასურველად სცნობს ერობის შემოღებას იმ ადგილებში, სადაც იგი დღეს არ არსებობს, მაგალითად—ასტრახანის, ორენბურგის, არხანგელსკისა და სტავროპოლის გუბერნიებში.

მინისტრის აზრით, განაპირა ქვეყნების ადგილობრივ მთავრობას უნდა მიენიჭოს უფლება დამოუკიდებლად გადასწყვიტოს ზოგიერთი საკითხები, რომელთაც ცენტრალური მთავრობა მოშორებულია და საქმეს დაწვრილებით ვერ იცნობს.

მოსაუბრის კითხვაზე, მისცემენ თუ არა ნებას მწვალებლებს თავისი წესის დაგვარად აასრულონ ღვთისმსახურებაო, მინისტრმა უპასუხა, გადაჭრით ვერაფერს ვერ გეტყვით ამის შესახებ, რადგან ამ საკითხის გადაწყვეტა მარტო ჩემზე არაა დამოკიდებულიო.

პრესსას მინისტრი დიდ მნიშვნელობას აძლევს. თავადმა სთქვა, ამ მოკლე ხანში სერიოზულად უნდა შევუდგე პრესსის შესახებ საკითხის განხილვასაო.

საყურადღებოა მინისტრის აზრი რუსეთში მოსახლე უცხო ტომთა შესახებ. „დიდის ფრთხილით უნდა შევეხოთ ამ საგანსაო,—სთქვა მინისტრმა,—რადგან მან ბევრი მწვავე უთანხმოება გამოიწვია. იმ მხრიდანაც რომ შევეხოთ ამ საკითხს, რომ საჭიროა რუსთა ინტერესების დაცვა, მაინც ზომიერად უნდა მოვიქცეთ, რათა საგრძნობელი ზარალი არ მივაყენოთ უცხო ტომთ. ჩვენში-კი ხშირად ისეთ საშუალებით მიმართავენ ხოლმე, რომელთაც არავითარი სარგებლობა არ მოსდევს, იმათ-კი, ვის წინააღმდეგაც იყო მიმართული, დიდად აზარალებენ.

დასასრულ მინისტრმა სთქვა, ყველაფერი, რაც გადმოგეცით, ჩემ ულრმესს რწმენას შეადგენს, რომელსაც შეძლებისამებრ ცხოვრებაში განვახორციელებ. მთელ ჩემ მოღვაწეობას საზოგადოების მიმართ ნდობაზე დავამყარებ, რაიცა უმთავრესად არის საჭირო სამშობლოს საკეთილდღეოდაო.

თეატრი

ქუთაისი. 1 ოქტომბერს ქუთაისში დაიწყო სეზონი პროტოპოპოვის დრამატიულ ეპიზოდის „ცხოვრების გარეშე“-ს წარმოდგენით. წარმოდგენამ ისე მწყობრად, ისეთის ანსამბლით ჩაიარა, როგორსაც იშვიათად ნახავს კაცი ჩვენს სცენაზედ. ეტყობოდა, ბ-ნს მესხიშვილს—რეჟისორს ყოველი ღონისძიება ეხმარა, რომ წარმოდგენას კარგად ჩაევლო, და კიდეც მიაღწია ამ მიზანს. თუმცა ზოგიერთები, როგორც, მაგალითად, იური პეტროვისა და მეტლე ნიკიფოროვის მოთამაშენი ძალდატანებულად თამაშობდნენ, მაგრამ „ცუდად ითამაშა“, არცერთ მსახიობზედ არ შეიძლება ითქვას. ბ-ნ მესხიშვილს გარდა (პეტრე ალექსანდრეს ძე ტატარცევი) განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია მოხდენილის თამაშით ქ-ნმა [illegible] ასულმა (ზოია), რომელიც თუ პირველს ორ მოქმედებაში საკმაოდ უფერულად თამაშობდა, მაგრამ მესამე და მეოთხე მოქმედებაში მთელი თავისი ძალ-ღონე გამოიჩინა და გრძნობიერი თამაშით ძლიერ იმოქმედა საზოგადოებაზე. რამდენი სასოწარკვეთილება, რამდენი ზიზღი იხატებოდა იმის ხმასა და გამომეტყველებაში, როდესაც ეს უსინდისო ბატონის მსხვერპლი, ეხლა ზნედაცემული ქალი, უარს ეუბნება ფულის მიღებაზე თავის გამაუბედურებელს იერის და გადის ოთახიდან? მშვენიერი იაკობი იყო ბ-ნი შათირიშვილი. ქუჩაშიაც რომ შეხვედროდით თავისი ბაკენბარდებით, გაწკეპილის ულვაშებით და თეთრის ჟილეტით, მაშინვე იტყოდით, ეს უთუოდ ლაქია უნდა იყოსო. კარგი იყო ბ-ნი გამრეკელიძე. რამდენი ნაღველი, რამდენი სასოწარკვეთილება იხატებოდა მის სიტყვებში: „ჯერ გახდი ადამიანად, რომ ადამიანსავით მოგეპყრანო“-ო! ბ-ნი აბაშიძე შეგნებულად თამაშობდა გლოზდევის როლს. კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ბ-ნ გვარაძის თამაშმა; ამ ყმაწვილს პირველად ვხედავდით სცენაზე სერგეევის როლში, მაგრამ როლის შეგნება და გამბედაობა საკმაოდ ემჩნეოდა, რაც იმის ნიჭის დამამტკიცებელი უნდა იყოს.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მსახიობებმა ყველამ კარგად იცოდა როლები, რაც იშვიათი მოვლენაა ჩვენს თეატრში; წარმოდგენა დაიწყო სწორედ რვა საათზე, როგორც აღნიშნული იყო აფიშებში, და გათავებითაც 12 საათამდის გათავდა. მადლობის ღირსია ბატონი მესხიშვილი, რომ ასეთი წესი შემოიღო, და იმედია შემდეგშიაც ასეთ წესს განაგრძობს, მაგრამ სამდურავის ღირსია ჩვენი საზოგადოება, რომელიც წარმოდგენას ნაკლებად დაესწრო.

დონ-ვილიანი

სასამართლო

I

ამას წინად ტფილისის სამოსამართლო პალატამ განიხილა საქმე ცნობილ გრიგოლ ჩიქოვანისა, რომელიც ტფილისის პოლიციის მე-10 ნაწილის ბოქაულის საიდუმლო აგენტი იყო. ჩიქოვანს ქურდობა ჰბრალდებოდა. ოლქის სამოსამართლოს ჩიქოვანი დამნაშავედ უცვნია და გადაუწყვეტია ზოგიერთ უფლების ჩამორთმევა და საპყრობილეში 8 თვით დაპატიმრება. პალატამ სააპელაციო წესით განიხილა ეს საქმე, დამნაშავედ იცნო ჩიქოვანი და უმაღლესის მანიფესტის ძალით შეუმცირა სასჯელი და გადაუწყვიტა 2 თვით საპყრობილეში დაპატიმრება.

II

ლეჩხუმის მაზრის სოფელ დაღნორისში ამ ერთის წლის წინად ივანე ლომთაძეს ღამით გზაში მისწვევიან ვიღაც ბოროტ-განმზრახველნი და ისე ძლიერად დაუჭრიათ იარაღით, რომ ლომთაძე დაუსახიჩრებიათ. ბოროტ-მოქმედთა მნახველი არავინ ყოფილა და არც დაშავებულს სცოდნია იმათი ვინაობა, მაგრამ ზოგიერთებს უჩვენებიათ, რომ ეს ბოროტ-მოქმედება დათა ასათიანმა ჩაიდინაო. ქუთაისის ოლქის სასამართლოს დამნაშავედ უცვნია დათა ასათიანი და გადაუწყვეტია ზოგიერთ უფლების ჩამორთმევა და პატიმართა გამასწორებელ რაზმში 2 წლით გაგზავნა. პალატაში სიღარიბისა გამო ასათიანს დამცველი არა ჰყავდა. საქმის გარჩევის დროს ამას წინად ბრალდებულმა პალატას განუცხადა, რომ მე ერთი უსწავლელი, გამოუცდელი კაცი ვარ და სულ უბრალოდ მომხვიეს თავზე ეს დანაშაულობაო. ლომთაძე, როგორც შემდეგ შევიტყე,—სთქვა ასათიანმა,—დაეჭრა ახვლედიანს, რომელსაც შევცოდე, როცა მე უდანაშაულოდ საპყრობილეში ვიყავი, და სიკვდილის წინ სთქვა, ლომთაძე მე დავჭერი და ასათიანი უდანაშაულოაო. პალატამ დათა ასათიანს სასჯელი შეუმცირა და 2 წლის ნაცვლად მიუსაჯა 8 თვით გაგზავნა პატიმართა გამასწორებელ რაზმში.

რუსეთის ქრონიკა

◆ პეტერბურგის საქველ-მოქმედო საზოგადოება შუამდგომლობის აღძვრას აპირებს იმის შესახებ, რომ დაარსებულ იქნას ქარხნების ინსპექტორ-ქალთა თანამდებობანი. საზოგადოებასთან გამართულია საჰიგიენო კურსები და კურსებზე მოსწავლე ქალები პრაქტიკულად იკვლევენ ქარხნის მუშათა ყოფა-ცხოვრებას. საზოგადოების წინადადებით საქარხნო ინსპექტორებად ამ სასწავლებელში კურს-დასრულებული ქალები უნდა მიიღონ.

◆ სენატმა განმარტა, რომ დასავლეთის 7 გუბერნიაში ყველა საქმე პასუხის გებაში მიცემულ იმ პირთა შესახებ, რომელნიც უმოწმობოდ ასწავლიდნენ ებრაულ წერა-კითხვას, სასამართლოს უწყებას უნდა გადაეცეს და არა ადმინისტრაციას.

◆ ეკატერინეს ქალთა საფელდშერო კურსების ექიმებს მოსკოვში თათბირი ჰქონდათ იმის შესახებ, რომ გერიეს უმაღლეს კურსების საბუნების-მეტყველო განყოფილებას შეუერთდნენ და ქალთათვის უმაღლესი სამკურნალო ინსტიტუტი დააარსონ.

◆ ლოძში ამას წინად პოლიციამ ხალხის აღწერა მოახდინა და უსაქმოდ დარჩენილი და უპასპორტო 25 ათასი კაცი აღმოაჩინა.

◆ ებრაელთა მსოფლიო კავშირმა „ალლიანს იზრაელიტ“-მა ასი ათასი ფრანკი შესწირა რუსეთის გაჭირვებულ ებრაელთ.

◆ მოსკოვის ერობამ შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე, რომ ნება მისცენ რუსეთის შუაგულ გუბერნიების ერობათა და საქალაქო თვით-მართველობათ წარმომადგენლების კრება მოახდინონ. კრებამ უნდა განიხილოს უმთავრესად საკითხი ღარიბთა შემწეობის შესახებ.

◆ პეტერბურგში იაფ-ფასიანმა სადგომების ამშენებელმა საზოგადოებამ შუამდგომლობით მიმართა ქალაქის გამგეობას, დაუთმოს ადგილი სამი დიდი სახლის ასაშენებლად, რომლებშიაც მოაწყობენ იაფ-ფასიან სადგომებს ქარხნის მუშებისა, მოსწავლეებისა და გაჭირვებულ ინტელიგენტთათვის.

◆ საზღვარ-გარედ გარდაიცვალა რუსეთის ცნობილი პოეტი კ. კ. სლუჩევსკი. ლექსების გარდა სლუჩევსკის დაუწერია ბევრი ბელლეტრისტული ნაწარმოები, კრიტიკული წერილები, მოგზაურობის აღწერანი და სხვა.

◆ გაზ. „ნოვ. დნია“-ს სწერენ პერმიდან, რომ ქალაქიდან ისევ ვლადივოსტოკს ჰგზავნიან იაპონელ ტყვეებს; ხმებია, რუსეთმა და იაპონიამ ერთმანეთს უნდა გაუცვალონ ტყვეებიო.

◆ წითელ ჯვრის აღმასრულებელ კომისიას ცნობა მოუვიდა იმის შესახებ, რომ იაპონიის მთავრობას განუზრახავს განთავისუფლოს წითელ ჯვრის ყველა ტყვედ წაყვანილი ექიმი.

◆ წითელი ჯვრის გამგეობა შუამდგომლობს მთავრობასთან, რათა ერთი-ორად მომატებულ იქნას გადასახადი წითელ ჯვრის სასარგებლოდ თეატრების და სხვა-და-სხვა დროს გასატარებელ ბილეთებზე და ბანქოს ქაღალდზე დაწესებული გადასახადიც გადიდდეს.

◆ ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესად მიანიჭა ირკუტსკის გენერალ-გუბერნატორს შემდეგი უფლება: ადმინისტრატიულის წესით სასჯელი დაადვას პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ მყოფ პირთ, რომელნიც ირკუტსკის საგენერალ-გუბერნატოროში იყვნენ გაგზავნილნი და თავის ნებით დასტოვეს მათთვის საცხოვრებლად დანიშნული ადგილები. ეს სასჯელი არ უნდა აღემატებოდეს 500 მან. ჯარიმას ან სამი თვით დაპატიმრებას. ირკუტსის გენერალ-გუბერნატორს ნება მიეცა თავის ხელქვეით გუბერნატორებსაც გადასცეს ამ ადმინისტრატიულ სასჯელის გადაწყვეტის უფლება.

◆ სარატოვის სამხედრო სასამართლომ ერთის წლით ხადისციპლინო ბატალიონში გაგზავნა მიუსაჯა ერთ სალდათს, რომელსაც შემდეგი დანაშაული ჰბრალდებოდა: აფიცერმა უბრძანა, ერთი თავი საჭმელი წაიღო თეფშით და სამზარეულოში დადეო. სალდათმა სთხოვა აფიცერს, ნება მომეცით ამ თეფშს მეორე თეფში დავახურო, რომ სადილი არ გაცივდესო. აფიცერს გული მოსვლია და სამჯერ დაურტყამს სალდათისათვის. სასამართლომ აფიცერს ორის კვირით დაპატიმრება მიუსაჯა.

◆ „ნოვ. ვრ.“-ს სიტყვით, ხარკოვიდან ქ. ეკატერინოსლავს გაემგზავრა სასამართლო პალატის სესია, რომელიც განიხილავს საქმეს გასულ წელს მდინარე დნეპრის მიდამოების ქარხნებში მომხდარ უწესოებათა შესახებ. სამართალში მიცემულია 24 კაცი. 102 მოწმე გამოწვეულია. ბრალდებულთა დამცველებად იქნებიან რუსეთის სახელ-განთქმული ვექილები.

◆ ამას წინად რუსეთის ქრონიკაში ვაუწყეთ მკითხველებს, რომ განსაკუთრებულმა კომისიამ უნდა განიხილოს საკითხი საგუბერნიო რეფორმის შესახებ. კომისიას ამ ჟამად მიუმართავს გუბერნატორებისათვის სხვა-და-სხვა ცნობების შესაკრებად. მაგალითად, რამდენი კაცი მსახურებს ამა და ამ საგუბერნიო დაწესებულებაში, რამდენი ჯამაგირი ეძლევათ, რამდენი ჯდება თვითეულ დაწესებულების შენახვა, რა შრომას ეწევა თვითეული დაწესებულება, რამდენ ქაღალდს ადგენს და რამდენს ღებულობს, გუბერნატორების აზრით. რა და რა დაწესებულებათა შეერთებაა სასურველი და სხვ.

◆ გაზ. „ნოვოსტი“-ს სარწმუნო წყაროდან შეუტყვია, რომ მღვდლებისათვის ნება მიუციათ უნივერსიტეტში შევიდნენ თავისუფალ-მსმენელებად. პეტერბურგის უნივერსიტეტში უკვე მიუღიათ ორი მღვდელი: ერთი აღმოსავლეთის ენების ფაკულტეტზე, მეორე კი—იურიდიულზე.

◆ ომის დაწყებამდის რუსეთიდან დიდძალი გაჭირვებული ხალხი, გლეხობა მიდიოდა ციმბირში დასასახლებლად. ამათთვის შემოღებული იყო რუსეთის რკინის გზებზე განსაკუთრებული შემცირებული ტარიფი. ამ ჟამად გამოანგარიშებულია, რომ ამ ტარიფის გამო მარტო ციმბირის რკინის გზას ყოველ წლივ 400 ათასი მანეთი ზარალი ჰქონდა.

◆ ხერსონის გუბერნიის პერეკოპის მაზრიდან ორი ექიმი გაგზავნეს შორეულ აღმოსავლეთში. ადგილობრივი საერობო გამგეობა ბევრსა ცდილობდა ახალი ექიმები მოეწვია, მაგრამ ცდამ ამაოდ ჩაიარა. მართლმადიდებელი ექიმები ვერ უშოვია, ებრაელთა შესახებ კი გუბერნატორს გამოუცხადებია, მანამდის არ დავამტკიცებ, სანამ სარწმუნო რეკომენდაციას არ წარმოადგენთ ან პირადად თავდებად არ დაუდგებით მიწვეულ ებრაელ ექიმებს, რომ თავის თანამდებობას კეთილად აასრულებენო.

◆ უმთავრესმა საინტენდანტო გამგეობამ შეუკვეთა სუჯანის, ნოვოოსკოლის, სტაროოსკოლის მაზრების შინა-მრეწველთ რამდენიმე ასი ათასი წყვილი ჩექმა შორეულ აღმოსავლეთში მებრძოლ ჯარისთვის.

◆ საერო განათლების სამინისტრომ განმარტა, რომ სახალხო სკოლების ინსპექტორებს ნება აქვთ მოიწვიონ მასწავლებლები და გამართონ თავის თავმჯდომარეობით საპედაგოგიო თათბირი აღზრდა-განათლების სხვა-და-სხვა საკითხების განსახილველად.

წერილები

ფოთი. ამ დღეებში, საღამოს რვა საათზე, ექვსმა შეიარაღებულმა ავაზაკმა რამდენჯერმე აიარჩაიარა ქალაქში. ერთმა მათგანმა რამდენჯერმე გაისროლა რევოლვერი. ამდროს ყველა მაღაზიიდანა და დუქნიდან ხალხი გარედ გამოცვივდა, რომ შეეტყო, რა მოხდა ქუჩაზე. ამით ისარგებლეს ავაზაკებმა და შეუცვივდნენ ერთს ყასაბს, ი. ო—რიას, წაუჭირეს ყელში ხელი და უთხრეს, საჩქაროდ მოიტა ფულიო. ამასთან ჩხრეკდნენ თურმე ყველგან, მაგრამ იქ ვერაფერი იპოვნეს. მერე გაუყვანიათ მეორე ოთახში ო—ია და იქ წაურთმევიათ 350 მანეთი და გარედ გაცვივნულან. ავაზაკებს დაეძებენ, მაგრამ ჯერ ვერა გაიგეს-რა იმათი.

აქაურ რკინის გზის სადგურზე ძალიან ვარჯიშობენ ჯიბგირები: ყოველ მატარებლის მოსვლის და წასვლის დროს დაძვრებიან ხალხში, სხვის ჯიბეს აცალიერებენ და თავისას ივსებენ. მაგალითად, ამ დღეებში სამ ჯიბგირს რამდენიმე ღარიბ კაცისათვის ამოეცალათ ორიოდე გროში ჯიბიდან. ეს [illegible] შეუტყვეს და გამოედევნენ. ორი მათგანი ხიდზე დაიჭირეს, მესამეს-კი მთელი ქვეყანა დაედევნა და ძლივს ნახევარ საათის დევნის შემდეგ დაიჭირეს. ერთს „გარადოვოის“, ჯ—ს ხელი წაევლო ჯიბგირისათვის, უნდოდა დაეჭირა, ჯიბგირს-კი რამდენიმე სილა გაეწნა პოლიციელისათვის და გაქცეულიყო. ამ ნამუსზე ხელ-აღებულ ჯიბგირებს მოხუცებულების პატივისცემა სულ არა ჰქონიათო,—ამბობდა გულ დაწყვეტილი პოლიციელი...

ჭალადიდი (სამეგრელო). სოფელ საგვამიჩაოში წმიდა გიორგის ეკკლესიაა. ის ადგილი, სადაც ეკკლესია დგას, მშვენიერი ამაღლებული ადგილია, მაგრამ უბედურება ის არის, რომ ეკკლესიაზე მისასვლელი გზა ისე გაფუჭებულია, კაცს არ შეუძლია მისვლა. მთელი გასაკეთებელი გზა 20—30 საჟენის მანძილზე თუ იქნება, მაგრამ ყურადღებას არავინ აქცევს. აზნაურიცა და გლეხიც ბატონობას ჩემულობს და გზის გამკეთებელი აღარავინ არის. ამას წინად ერთს აქაურ ვაჭარს ქორწილი ჰქონდა, მაგრამ ამ ტალახმა ყველაფერი დაამწარა მექორწილეთ. მეფე, დედოფალი, დადე, მაყრები და სტუმარ-მასპინძელი მუხლამდი ზელავდნენ ტალახსა და წუმპეს. საჭიროა, რომ ამას ყურადღება მიაქციოს, ვისიც ეს არის.

აზ. გ—ს ტყეში უეცრად მომკვდარა ისიდორე ბერაია. საქმე ასე ყოფილა. ეს ტყე გ—საგან იჯარით აღებული ჰქონია ა. ფ—ას. მოიჯარადრე იმდენს ვერ სარგებლობდა თურმე, რამდენსაც არა მოიჯარადრე, სხვის ქონების ხელის წაპოტინებას დაჩვეული ვაჟბატონები. ამ ტყეს არა ზოგავდნენ თურმე, მალულად სჩრიდნენ და გამოჰქონდათ, რასაც-კი მოახელებდნენ. ერთი ამგვარი შემთხვევათაგანი ყოფილა 18 სექტემბერს. ზემო აღნიშნულს ბერაიას ხე მოუჭრია, ეს მოჭრილი ხე დასცემია, მოუტნევია ქვეშ და იქვე მოუკლავს ბერაია. ამხანაგებს გამოუტანიათ მიცვალებული და უპატრონებიათ. კიდევ კარგი, რომ მარტო არ იყო, თორემ ვერას გაიგებდნენ იმისას.

ზედობანი (გურია). ზედობანი შეადგენს სოფელ ვაკის ზემო ნაწილს და გაშენებულია მიუდგომელ ხრიოკზე; ამიტომ გზებზე უკაცრავად გახლავთ ჩვენი სოფელი. აქაური გზები, ანუ უკედ რომ ვთქვათ, მინგრეულ-მონგრეული ბილიკები, ცუდია ზაფხულობით და თითქმის გაუვალი ზამთრობით. ჩაზამთრების ქარ-ბუქი რომ ასტყდება და წვიმებს დაიწყებს, მშვიდობით ყოველივე მიმოსვლავ! დარწმუნებული უნდა იყოთ, რომ ტალახის შიშით ფეხს მომავალ გაზაფხულამდე ვერსად გადასდგამთ. მაგრამ რამდენად ძნელი და აუტანელია ზედობანში ყოფნა ზამთრობით, იმდენად სასიამოვნოა აქ ცხოვრება ზაფხულობით. სოფელი მაღლობზეა გაშენებული, ჰაერი შედარებით სუფთაა და ჯანისათვის მარგებელი. გადასახედიც კარგია: თქვენ წინ მთელის სიგრძე-სიგანით გადაშლილია გურიის ხეობა, აჭარა-გურიის მთებიდან დაწყებული, ვიდრე ფოთამდის.

ზედობანს ამშვენებს ორი ჩაისა და ვაშლის ბაღი და ვენახი. ეს ბაღი და ვენახი ეკუთვნის თავ. ნაკაშიძეს. ხუთ წელზე მეტი არაა, რაც ბ-ნ ნაკაშიძეს ბაღების გაშენება მოუფიქრებია. აქაური სანიმუშოდ დამზადებული ჩაი ვინახულე და დავრწმუნდი, რომ იგი საუკეთესო ჯიშის ჩაის არ დაუვარდება. დიდ ყურადღებას აქაური ვენახი იქცევს. სივრცით ვენახი სამ დესეტინამდე იქნება. თავ. ნაკაშიძეს უცდია სხვა-და-სხვა ჯიშის ვაზის მოშენება, რომ ამით გაეგო რომელი ვაზი უფრო იხეირებდა. თუმცა ჯერჯერობით ყველა ვაზს ნაყოფი არ გამოუღია, მაგრამ უკვე მოსხმულ ყურძნის მიხედვით თამამად შეიძლება ვსთქვათ, რომ ვენახი ნაყოფიერი იქნება. საყურადღებოა, რომ ზემოურ ჯიშის ვაზებში ჩვენებური-ძველებური ვაზებიც ურევია, მაგალითად, ჩხავერი, ჯანი, ათინური, მტევან დიდი და სხვა. ნაკაშიძეს ეს ვაზები დაუმყნევინებია ამერიკულ ვაზებზე და ჰსურს გაიგოს, როგორ ნაყოფს მოიტანს.

ი. დონეშვილი.

სოფ. ბოსლევი (ზემო იმერეთი). სვირსა და ზეგანში ეს თვე ნახევარია მძვინვარებს საქონლის ჭირი, რის გამო მიმოსვლა ხარ-ურმით შეწყვეტილია. ბოსლევის მცხოვრებნი ამ ბოლო დროს თავს ანებებენ სიმინდის თესას და ეტანებიან ქურჭლეულობის კეთებას. ისეთ გლეხის ოჯახს ვერ იპოვით, რომ თავის ნათესით სარჩო-სიმინდი მოიყვანოს. თავიანთი ნაწარმოები გააქვთ პირნახულიან სოფლებში, სადაც სცვლიან სიმინდზე, ან ჰყიდიან ფულზე და იმავ სოფლებში ყიდულობენ სიმინდს. აქეთ წელს სიმინდის მოსავალი შარშანდელზე ნაკლებია და ტარო პატარა აქვს. სიცივეებისა გამო, მგონი, სულაც არ გახმეს და ქულინჯათ დაგვირჩეს მოსატეხად, ამ გვარსავე მდგომარეობაში არიან ახლო-მახლო მდებარე სოფლები: გეზრული, საწაბლე, შროშა, ჩხიროული და სხვა. იმ ალაგებიდან, სადაც კეთდება ქური და კრამიტი, რკინის გზის სადგურამდის არის სამი ან ოთხი ვერსი, მაგრამ გზა ისე გაფუჭებულია, რომ, დატვირთული ურმით კი არა, ფეხით მგზავრობაც შეუძლებელია. ამისათვის მცხოვრებნი იძულებულნი არიან გაიარონ ოცდა ერთი ვერსი გზა ზესტაფონამდის და ქირა გადაიხადონ სამი-ოთხი მანეთი უღელ ხარზე. როდესაც ეს ზემოხსენებული გზა ულევიდან სადგურ ბოსლევამდის შეკეთდება, მაშინ მცხოვრებთ დიდი შეღავათი მიეცემათ. ბოსლევში სექტემბერში მოხდა შემდეგი ამბები: კრამიტის მკეთებლებს შროშელ გლეხებს მიხეილ კოპაძეს და იპოლიტე ტალახაძეს ჩხუბი მოსვლიათ, რომლის დროსაც ტალახაძეს რევოლვერი უსროლია პირველისთვის და დაუშავებია. 19 სექტემბერს სოფელ ბოსლევის გადასახადის მომკრებს გლეხს მელიტონ კაპანაძეს, როდესაც სადგურ ბოსლევის მახლობლად მიდიოდა, თავს დაეცა სამი უცნობი კაცი, წააქცია, ტანისამოსი შემოახია და წაართვა ფულად ორ მანეთ-ნახევარი. სხვა ვერაფერი უნახეს.

დროებით ბოსლეველი

და ჩამოვიდა 7,400,227 აკრზედ. ადგილის სივრცემ იკლო ათ წელიწადში ერთ მილიონ აკრით. კიდევ ხუთი მილიონი ადამიანი შეიქმნა იძულებული საზღვარ-გარეთიდან ეზიდა საზრდო, იკლო აგრეთვე 3 მილიონ აკრით მწვანილით დათესილმა ადგილმა.

გაიძახიან, რომ ინგლისის მიწათ-მოქმედებამ პურის მოყვანის მაგივრად „ხორცის მომზადებას“ მიჰყო ხელი, მაგრამ საქმე ის არის, რომ ამ ათის წლის განმავლობაში არც პირუტყვის რიცხვს მოუმატნია. ან და რითი უნდა ეკვებათ მეტი რიცხვი ნახირისა? პურის თესვისაგან განთავისუფლებული ადგილი არ მოახმარეს ამ „ხორცის მზადებას“ და თვით ნახირის რიცხვმა იკლო. 1885 წელს ბრიტანიაში იყო 6½ მილიონი რქოსანი საქონელი, 1895 წელს-კი 6½ მილიონი; 1885 წელს—26½ მილიონი ცხვარი, 1895 წ. კი 25½ მილიონი. მართალია, ცხენების რიცხვმა იმატა: ბრიტანიაში ეხლა 1½ მილიონზე მეტი ცხენია, მაგრამ ცხენებიც საზღვარ-გარეთიდან შეჰყავთ; საზღვარ-გარეთიდან მოაქვთ აგრეთვე ქერი და თივა იმათ საკვებად. თუ ბრიტანიაში ეხლა მეტ ხორცს სჭამენ, ეს იმიტომ, რომ ხორცი საზღვარ-გარეთიდან მოაქვთ იაფად, და არა იმიტომ, ვითომ თვით ბრიტანიაში ამზადებდნენ მეტ ხორცს.

მოკლედ რომა გსთქვათ, მიწათ-მოქმედებას მიმართულება-კი არ შეუცვლია, როგორც გაიძახიან, არამედ დაეცა იგი. დამუშავებულ მიწის რაოდენობა კლებულობს საშინელის სისწრაფით. რაც შეეხება ამ ბოლოს დროს მებოსტნეობისა, მებაღეობისა და წვრილ-ფეხის მოშენების საქმის გაუმჯობესებას, ინგლისმა ამ შემთხვევაში ისეთა საცოდავი ნაბიჯი წასდგა წინ საფრანგეთისა, ამერიკისა და ბელგიასთან შედარებით, რომ გამოკვლევის დროს არც კია ანგარიშში ჩასაგდები.

მიზეზი ბრიტანიის მიწათ-მოქმედების დაცემისა თვალსაჩინოა. ხალხი სტოვებს მიწას. სოფლის მეურნეობაში ადამიანის შრომა უძვირესია, ხოლო მიწის მუშის ერთი მესამედი 1861 წლიდან ქალაქებში გადასახლდა. ინგლისსა და ველსში 1861 წელს მიწის მუშა იყო 2,100,000, 1884 წ. 1,383,000; 1891 წ. კი—1,311,720.

ერთხელ ფეხით წაველი ლონდონის გარედ და სოსსექსისაკენ გავემართეო—ამბობს ავტორი. მეგონა, მშვენივრად დამუშავებულ ყანებსა და მინდვრებს ვნახავდი, მაგრამ ლონდონის გარეშემო მინდვრებში კაცის ჭაჭანებაც არ იყო. გილდში თითქმის ოცი მილი გავიარე და უყისა, ტყისა და სანადირო შემოკავებულ ადგილების მეტი არა მინახავს-რა. ერთ ფერმას წავაწყდი, სადაც მიწა მშვენივრად იყო დამუშავებული და კარგ მოსავალსაც იძლეოდა. შემდეგ გავიარე შუაგული მაზრები, სადაც მშვენიერი ყანა-მინდვრები ვნახე. მაგრამ აქ მაინც არა სჩანდა კვალი იმ დაუდგრომელ შრომისა, რომლის ბეჭედიც აზის საფრანგეთის ყანა-მინდვრებს. არც საკვირველია: ერთმა მილიონმა და სამასი ათასმა კაცმა როგორ უნდა დაამუშაოს 33,000,000 აკრი მიწა.

ჰერროუდან დაწყებული ლონდონამდის ხუთ მილზედ ვერაფერი ვერა ვნახე-რა, არც აღმოსავლეთით, არ დასავლეთით, გარდა საბალახოებისა, სადაც ძლივს მოჰყავთ 2 ტონნა თივა აკრზე,—ეს უკანასკნელი-კი საკმარისია მხოლოდ ერთ ხბოიან ძროხის შესანახად თვითეულ ორ აკრზედ. კაცი არა სჩანს ამ საბალახოებში. იგი გაადაბრუნებს მიწას გაზაფხულზე, ორ ან სამ წელიწადში ერთხელ სასუქს დაყრის, შემდეგ მოსწყდება ამ ადგილს და თიბვის დრომდის აღარ ეკარება. და ხუთ მილიონიანი ლონდონი-კი იძულებულია ზიდოს ბელგიასა და ჯერსიდან კართოფილი, საფრანგეთიდან—სალათი, კანადიდან—ვაშლი.

უკეთეს მდგომარეობაში საქმე არც ნაყოფიერ ადგილებშია. სამხრეთ დევონში, მაგალითად, თვალ-გადუწვდენელი, ტრიალი მინდვრებია მხოლოდ, ბალახით დაფარული. აუარებელი ადგილებია ამ მდგომარეობაში, თუმცა ძველმა თაობამ დიდძალი შრომა მოანდომა იმის გაწმენდას ქვებისაგან, იმის განოყიერებას და სარწყავ არხების გაყვანას. ყოველ ნაბიჯზედ კაცი ჰხედავს მიტოვებულ სახლებს, რომელიც წაქცევას აპირობს. ხალხი გაქრალა, ვინც დარჩნენ, ისინიც მალე გაჰქრებიან, თუ ასე წავიდა საქმე. ესა ხდება ინგლისის იმ კუთხეში, სადაც ყველაზედ უფრო ნოყიერი მიწაა. როგორ უნდა დამუშავდეს მიწა, როდესაც არავინ არა მუშაობს. მიწას ყველანი გაურბიანო,—ამბობს ავტორი.

(დასასრული იქნება)

ლუპი არ ელოდნენ რუსების მხრივ შედგომ

უნდა გ.გვემარჯვნა.

მდ. შახეს და ოყიის

ომის დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“
5 ოქტომბერი

ლონდონი, 4 ოქტომბერი. („რეიტერი“) „რეიტერის სააგენტოს“ კორესპონდენტი რუსის აღმოსავლეთ რაზმის მთავარ სადგომიდან 3 ოქტომბერს იუწყება: 29 სექტემბერს იაპონელების რაზმის უფროსმა ზარბაზნის სროლა შეაჩერა, რადგან რუსები მაღლობებზე იდგნენ. საღამოთი რუსები 100 მეტრის მანძილზე იდგნენ იაპონელების პოზიციებიდან. ბრძოლამ მთელი ღამე გასტანა და გათენების ხანს უფრო გამწვავდა, რადგან იაპონელებს მაშველი ჯარი მოუვიდათ. დილის 10 1/2 საათზე ამბავი მოვიდა, რომ საშინელ ბრძოლის შემდეგ იაპონელებმა რუსის შუა ჯარი უკუ აგდესო. რუსის მარჯვენა ფრთაც იძულებული იყო უკან დაეხია. უკანასკნელის ცნობებიდან სჩანს, რომ იაპონელებმა შუა ჯარი გაარღვიეს და უკან დაახევინეს. რაკი რუსის შუა ჯარი გაარღვიეს, იაპონელები წინ გაემართნენ. რუსის უფროსმა სარდალმა შუა რაზმს მაშველი ჯარი გაუგზავნა; ეს რაზმი იაპონელებს შეებრძოლა, მაგრამ იაპონელებმა იერიში მიიტანეს რუსებზე და კუროპატკინის ჯარს შუაზე გარღვევა დაუპირეს. იაპონელებმა ჯერ მთელი თავიანთი არმია დასავლეთისაკენ გადაიყვანეს, იქ რუსები „უკუ აგდეს“ და მერე რუსის შუა ჯარს დაეცნენ, რუსის მარცხენა ფრთას კი მცირეს რაზმით შეებრძოლნენ. ნაშუადღევის 1 საათსა და 30 წ. გან. შტაკელბერგმა 4 პოლკი მაშველი ჯარი გაგზავნა იაპონელების მარცხენა ფრთაზე იერიშის მისატანად; 4 1/2 საათზე ამ პოლკებმა მიიტანეს კიდევაც იერიში, მაგრამ ბრძოლის შემდეგ რუსის არმია მაინც გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდა,— იაპონელები შუაზე გარღვევას უპირებდნენ. 30 სექტემბერს პირველმა და მესამე კორპუსებმა პოზიციები შეინარჩუნეს. შუადღისას იაპონელებმა იერიში მიიტანეს აღმოსავლეთ არმიის მარჯვენა ფრთაზე. რუსებმა საჩქაროდ ორი დივიზია მიაშველეს ამ ფრთას, მაგრამ იაპონელებმა მეტად მაგარი პოზიციები აიღეს და რუსებმა ეს პოზიციები ვეღარ წაართვეს. დასავლეთ მხარესაც მედგარ ბრძოლას განაგრძობენ. იაპონელები გენ. კუროპატკინს უკან ახევინებენ და ცდილობენ, რომ რუსის აღმოსავლეთის არმია მთებში განდევნონ. ნაშუადღევს 3 1/2 საათზე ბრძანება გასცეს, ბრძოლა შეეწყვეტოთ. 1 ოქტომბერს, ღამით, აღმოსავლეთ არმიის ნაწილმა ჩრდილოეთისაკენ დაიხია, მაგრამ იაპონელები არ მოეშვნენ და ეს რაზმი იძულებული იყო, კიდევ ბრძოლა დაეწყო.

მუკდენი, 4 ოქტომბერი („ჰავასის სააგენტო“). დღეს დილის 5 საათზე გამწვავებულის ბრძოლის შემდეგ რუსებმა ხელ-ახლად დაიჭირეს პოზიციები მდინარე შახეს მარცხენა ნაპირად. იაპონელები, ეტყობა, დაქანცულები არიან. ეხლა ასეთი გამწვავებული ბრძოლა აღარაა. რუსები უკანასკნელმა გამარჯვებამ აღფრთოვანა და ეხლა იერიშის მისატანად მიიწევენ და საკვირველ ამტანლობას იჩენენ.

ლონდონი, 4 ოქტომბერი („რეიტ. საგ.“). იაპონიის ელჩმა გაიაშიმ ლონდონში ეხლანდელ სერიოზულ ომის შესახებ მანჯურიაში სთქვა, რომ ამდენ ადამიანთა სიცოცხლის მოსპობა საშინლობააო. იაპონელებს ძალიან აწუხებს ეს, მაგრამ რანაირად უნდა აეცილებინათ თავიდან ომი. ყველას, ვინც იცის ეხლანდელი პირობები, უნდა სცოდნოდა რა გამწვავებული იქნებოდა ეს ომი. ეხლა სხვა არა დარჩენილა რა ომი ბოლომდის უნდა მივიტანოთ. იაპონია ვერ გადასწყვეტს, დადგა თუ არა დრო ზავის ჩამოგდებაზე ლაპარაკისა. ეს რუსის მთავრობის საქმეა. არ უნდა დაივიწყოს არავინ, რომ იაპონიას არას დროს არ გამოუწვევია ომი. გაიაშიმ დაუმატა, რომ ვერაფერი დაუშლის ბრძოლის განგრძობას, რადგანაც ზამთარში მანჯურიაში სამხედრო მოქმედება უფრო ადვილია, ვიდრე ზაფხულში. ომი გაგრძელდება ზამთარში. ეხლა მნიშვნელოვან პოზიციად, რომელიც იაპონელებმა უნდა აიღონ, არის ტელინი. როდესაც ტელინს აიღებენ მაშინ ვეღარაფერი დაუშლის იაპონელებს ხარბინისკენ წასვლას. ზავის ჩამოგდების შესახებ გაიშიმ სთქვა: „სასურველია ზავი, როგორც შედეგი კაცთმოყვარე გრძნობისა, რომ მოისპოს საზიზღარი სისხლის ღვრა მანჯურიაში. ეხლა ერთობ გვიანაა შეწუხება, წინადვე იყო ამის ცოდნა საჭირო და თავიდან აცილება.

ლონდონი, 4 ოქტომბერი („რეიტ. საგ.“). 2 საათზე რუსებმა მიიტანეს იერიში ოკუს მარცხენა რაზმზე. 3 ოქტომბერს იაპონელებმა ექვსჯერ მიიტანეს იერიში და ყველა მოიგერიეს რუსებმა მზის ჩასვლისას, დეპეშის გაგზავნის დროს რუსებმა მეშვიდეჯერ მიიტანეს იერიში. 3 ოქტომბერს მომხდარ ამბების შესახებ, ტოკიოდან იტყობინებიან დეპეშით, რომ რუსების პატარა რაზმებმა უკან დაიხია: ზოგმა გუალინისაკენ და ზოგმა კაოტალინისაკენ. იაპონიის რაზმმა დაიჭირა კუანში. რუსეთის ბრიგადა გროვდება ჩრდილოეთ დასავლეთით ჩენშიტთან.

ტოკიო, 4 ოქტომბერი („რეიტერი“). რუსების ცენტრის ჯარის მდგომარეობა ფრონტზე არ შეცვლილა 3 ოქტომბერს საღამომდის. გუშინ მოვიდა მოხსენება, რომ რუსებმა იერიში მიიტანეს ხსენჩუანზე და ეცადნენ მიეხწიათ ილუსთან მისავალ იაპონელთა გზამდის.

ჩიფუ, 4 ოქტომბერი („რეიტერი“). ფიქრობენ, რომ იაპონელები ემზადებიან მედგარ იერიშის მისატანად პორტ-არტურზე მიკადოს დაბადების დღეს, 21 ოქტომბერს.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“
5 ოქტომბერი

ბერლინი, 4 ოქტომბერი. „ლოკალ ანცაიგერი“-ს კორესპონდენტი რუსის არმიის შუაგულში გამწვავებულ ბრძოლას დაესწრო. რუსები 22 სექტემბერს წინ წავიდნენ გაშლილის ფრონტით. თვითეულ რაზმს ყოველ დღე ანიშნებდნენ ამ ადგილს, საღამოსაც უნდა მისულიყო. წინ მიმავალმა რუსის ჯარმა პირველად იაპონელთა პატარა ჯარი აღმოაჩინა და რუსების წინსვლა ნაყოფიერი იყო. 27 სექტემბერს რუსებმა აიღეს სიმაღლეები ვულიტაინზის სამხრეთით და წინ წავიდნენ რკინის გზის დასავლეთით. იაპონელები ფიქრობენ, რომ რუსები იმათ მარცხენა ფრთას დაემუქრებოდნენ და ეს ფრთა მსწრაფლ გააძლიერეს. 28 სექტემბერს, ღამით რუსებმა უბრძოლველად დასცალეს ვულიტაიძი და შელიხეს გაღმით დაიხიეს. იაპონელებს ხელად მაშველი ჯარი მოუვიდათ, რუსების მარჯვენა ფრთეს წრის შემოვლება დაუპირეს, უნდოდათ შელიხეს გაღმა არ გაეშოთ რუსის ჯარი, მაგრამ რუსებმა იაპონელების ყველა იერიში მოიგერიეს. 29 სექტემბერს შილიხესთან ხელ-ახლად დაიწყო გამწვავებული ბრძოლა. იაპონელებს განუწყვეტლივ მიჰქონდათ მედგარი იერიში. გამწვავებულის ბრძოლის შემდეგ გვიან, საღამოთი რუსებმა მდინარე შახესაკენ დაიხიეს. 30 სექტემბერს ბრძოლა ხელ-ახლად დაიწყო. რუსის აღმოსავლეთ რაზმიდან ცნობა მოვიდა რუსები მდინარე ტაიძიხეში გავიდა ბენსიუხუსთან და ლიოიანისაკენ გაემართა, სადაც იაპონელების ჯარს ზურგიდან მოექცევიან. ამბობენ, ყაზახებმა ფინხუანჩენის გზას მიახწიეს, მაგრამ უმთავრესი ჯარი წინ ვეღარ წავიდა, მხოლოდ ულულტეხილები შეინარჩუნა. კუროპატკინის ახლო ყუმბარა დაეცა. ნამესტნიკის შტაბი კარგ გუნებაზეა; ფიქრობენ, რომ იაპონელები ვერად ჩამოვიტყუეთო. რუსები იაპონელებს ზურგიდან მოქცევას უპირებენ, რადგან ლიაოიანში მცირე მეციხოვნე ჯარი დგას. იაპონელებიც უპირებენ რუსებს დასავლეთიდან ან გვერდიდან მოვლას.

პეტერბურგი, 5 ოქტომბერი. შევსებულ იქნა დებულება ომის დროს შემწეობათა შესახებ. დებულებაში აღნიშნული შემწეობა სახლისა და მოსამსახურის დასაქირავებლად მიეცემათ აგრეთვე იმ პირთა ოჯახებს, რომელნიც ტყვედ არიან წაყვანილნი და არ მოესპობათ დატყვევებულთა დაბრუნებამდე ან გადაცვალებამდე.

ხაუნშანი, 5 ოქტომბერი. რვა დღის გამწვავებულ ბრძოლის შემდეგ რუსებმა ბოლოს გატეხეს იაპონელები და აიღეს ხიანი „სოპკა“, და ამ მთას ბრიგადის უფროსის პატივსაცემლად, რომელმაც სხვებთან ერთად აიღო იგი, „პუტილოვის სოპკა“ უწოდეს. ჩვენი ჯარი მამაცად წავიდა წინ, დაიჭირეს მდინარე შახეს მთელი მარცხენა ნაპირი და იქიდან სამხრეთისკენ გაილაშქრეს. იაპონელებმა მრავალი დაჭრილთა და მოკლულთა გარდა დასტოვეს პოზიციებზე ექვსი ველისა და ხუთი სამთო ზარბაზანი, ერთი ტყვიის-მტყორცნელი, მრავალი იარაღი, პატრონა და სამხედრო მასალა. ზარბაზნები ხელში ჩაიგდეს აღმოსავლეთ ციმბირის პოლკის მამაცმა მსროლელებმა. მე-19 პოლკმა ღამე მიიტანა იერიში და ხელში ჩაიგდო ბატარეები იმ დროს, როცა თვით ამ „სოპკა“-ზე მედგარი ბრძოლა იყო. მე-36 პოლკის მსროლელებმა ნელ-ნელადა და საბოლოოდ ჩაიგდეს ხელში იაპონელთა თხრილები. ეს პოლკი ძლიერ დაზარალდა, მაგრამ უფრო მეტი ზარალი მტერს მიაყენა, რომელმაც მარტო „პუტილოვი“-ს „სოპკა“-ზე დასტოვა 1500 მოკლული. სანგრებში გაშმაგებით იბრძოდნენ შტიკებით. ბევრმა იაპონელმა თავი მოიმკვდარუნა; ამათ შემდეგ სროლა ასტეხეს, სანამ რუსის ჯარი არ მივიდა და სრულებით არ ამოსწყვიტა ისინი. იაპონელებმა სწორედ საოცარი თავგანწირულება გამოიჩინეს. ისე იბრძოდნენ, რომ ცხადი იყო მთელ თავის სვე-ბედს ამ ბრძოლაზე ამყარებდნენ.

პეტერბურგი. გენერალ სახაროვის დეპეშა მთავარ შტაბს, გამოგზავნილი 5 ოქტომბერს: „როგორც მიღებულ მოხსენებიდანა სჩანს, 4 ოქტომბერს ღამე იაპონელები რამდენჯერმე დაეცნენ ჩვენის ჯარის მარჯვენა ფრთეს პოზიციებს. ჩვენებმა მოიგერიეს მტრის რაზმები. ამ დღეს ჩვენმა ჯარმა აიღო მდინარე შახეზე, შახეპუს აღმოსავლეთით, სოფელი შალანძი. იაპონელები მედგრად უშენდნენ ყუმბარებს ჩვენ მიერ აღებულ პოზიციებს, მაგრამ იერიშით არ წამოსულან. ხეან სოპკაზე, რომელსაც სახელად პუტილოვის სოპკა ვუწოდეთ, დღეს საღამოთი და ღამე მოკლულთა გვამებს ასაფლავებენ. ამასთან იაპონელთა გვამებს სამხედრო პატივით ეპყრობიან. აშკარად სჩანს, რომ სოპკაზე მეტად ცხარე და მწვავე ბრძოლა იყო. ზოგიერთი ჩვენი ოფიცრები, რომელნიც მაგალითს აძლევდნენ სალდათებს და პირველნი შეცვივდნენ იაპონელთა თხრილებში, ამოჟლიტეს. ჩვენებისა და იაპონების იარაღს ეტყობა ცხარე ხელჩართულ ბრძოლის ნიშნები. ეტყობა, რომ მტერი კარგა ბლომა ჯარს აგროვებს ჩვენი ჯარის მარცხენა ფრთეზე. 4 ოქტომბერს ბრძოლა არ მომხდარა“.

ხარბინი, 2 ოქტომბერი. 2 ოქტომბერს ჩვენის ჯარის დასავლეთ ფრთეზე ბრძოლა დაღამებამდე არ შეწყვეტილა. ჩვენმა ზარბაზნებმა ყუმბარები დაუშინეს შახეს. იაპონელები სუსტად გვაძლევდნენ პასუხს. 3 ოქტომბერს, დილით, მუკდენიდან სიუიატუნში მიმავალ გზაზე ცხარე სროლა ასტყდა. შუაში და აღმოსავლეთით ბრძოლა განახლდა. გათენებისას იაპონელთა ქვეითა ჯარი მიდიოდა ჩვენის ფრონტის წინ მარჯვენიდან მარცხნივ. იაპონელებს უნდოდათ მოეტყუებინეთ და განგებ სხვა ჯარს მარცხენა მხრიდან მარჯვნივ გზავნიდნენ. საღამოზე ბრძოლა შესწყდა, მაგრამ შუა ღამისას ისევ განახლდა. განუწყვეტელი სროლა იყო თოფებისა, რომელთაც ზარბაზნებიც ეხმარებოდნენ. 3 ოქტომბერს, ღამე, ჩვენი ჯარი წინ წავიდა. დილის 9 საათამდე იაპონელები თავგამოდებით იბრძოდნენ, თან სოფელ-სოფელ უკან იხევდნენ. ბოლოს განვდევნეთ ექვსი სოფლიდან. ხელთ ჩავიგდეთ რვა ზარბაზანი. იაპონელები გაჩერდნენ ძლიერ პოზიციაზე. ორი საათის შემდეგ ჩვენმა ჯარმა შტურმი მიიტანა და უკუ-აგდო მტერი. დარჩა 16 ზარბაზანი და 8 ტყვის მტყორცნელი. საღამოზე იაპონელებმა მედგარი იერიში მიიტანეს სიუტუნზე.

ხუანშანი, 3 ოქტომბერი. დღემ უფრო წყნარად ჩაიარა. იაპონელები განაგრძობდნენ წინსვლას ცენტრის წინააღმდეგ, სადაც ერთმა ჩვენმა ბატარეამ დიდათ დაზარალებულმა მოიგერია მტრის მძლავრი იერიში. ჩვენ მიერ დილით დაჭერილი გორა, რომელიც მდებარეობს ჩვენი ჯარის ცენტრში, ხან ჩვენა და ხან იაპონელებს რჩებოდა; ბოლოს ღამე მოტანილ იერიშით იაპონელებმა განდევნეს იქ მყოფი ჩვენი ჯარის ნაწილი და დაიჭირეს ეს ადგილი. დღეს ისევ განახლდა გამწვავებული ბრძოლა გორაკის შესანარჩუნებლად. საღამოზე ჩვენმა მსროლელებმა იერიშით უკუ-აგდეს მტერი და გამაგრდნენ იმ გორაზე, ხელთ იგდეს მრავალი ტყვე, 6 საველე და 5 სამთო ზარბაზანი და ერთი ტყვიის მტყორცნელი. მიუხედავათ იმისა, რომ 7 დღის განმავლობაში იაპონელები საკვირველის დაჟინებით მოდიოდნენ წინ, ბრძოლა საბოლოოდ არ გამორკვეულა. ჩვენი ჯარი იაპონელებს მოწინავე პოზიციებზე ებრძვის. ჩვენი ჯარი არ შეკრებილა უმთავრეს პოზიციებზე მუკდენს ახლოს. რამდენი პატრონები და ყუმბარები დაიხარჯა ამ 7 დღის ბრძოლის დროს, ძნელი გამოსაანგარიშებელია, თუმცა სამხედრო მასალა რიგზედ მიაქვთ არტილერიის პოზიციებზე. (გაგრძელება იქნება).

პეტერბურგი, 5 ოქტომბერი. პრესა აღნიშნავს გენერალ კუროპატკინის დეპეშას, საერობო სასანიტარო ორგანიზაციის სასარგებლო მოქმედებას ბრძოლის ველზე. გაზეთებს ეს დეპეშა ერობის ჯილდოდ მიაჩნიათ.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“
5 ოქტომბერი

პეტერბურგი. წყნარ ოკეანის ფლოტის მეორე ესკადრის უფროსს როჟდესტვენსკის ებოძა გენერალ-ადიუტანტობა, დატოვებულ იქმნა შტაბის უფროსის თანამდებობაში და ესკადრის უფროსად. ვიცე-ადმირალს გერკენს, ალექსანდრეს დაჭრილთა მზრუნველ კომიტეტის წევრს ებოძა ადმირალობა და დატოვებულ იქმნა ძველ თანამდებობაში. გამოცხადებულია უმაღლესი რესკრიპტი დიდ მთავარ მიხეილ ნიკოლოზის სახელობაზედ 50 წლის შესრულების გამო იმის შემდეგ, რაც 1854 წელს პირველად მძლავრად დაუშინეს სევასტოპოლს ზარბაზანი; დიდ მთავარს პირველს ებოძა სევასტოპოლის საიუბილეო მედალი. ებოძათ: ორდენები: თეთრი არწივისა—უმთავრეს საინჟინერო მმართველობის უფროსის თანაშემწეს გენერალ-ლეიტენანტს კაიერს. წმ. ვლადიმირის მეორე ხარისხისა—სამხედრო სამინისტროს კანცელარიის უფროსს, გენერალ-ლეიტენანტს რედიგეს. მათი იმპერატორებითი უმაღლესობა ხელმწიფე მემკვიდრე და დიდი მთავარი ალექსი ნიკოლოზის-ძე ტაშკენტის კადეტის კორპუსის შეფად დაინიშნა. ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესად ბრძანა ხელმწიფე მემკვიდრის ტაშკენტის კორპუსის შეფად დანიშვნის შემდეგ დაერქვას ამ კორპუსს „ტაშკენტის ხელმწიფე მემკვიდრის კადეტის კორპუსი“, ამასთანავე ებოძათ ყველას ამ კორპუსის სამხედრო პირებს და კადეტებს პაგონებზე ვენზელზედ გამოსახული სახელი მემკვიდრისა. ხელმწიფე იმპერატორმა მიაქცია მოწყალებითი ყურადღება იმ პირთ, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს ოსმალეთთან ომში 1877—1879 წ., და რომელთაც ჯერ პოდპოლკოვნიკის ჩინი არ მიუღიათ და ბრძანა ამ მაღალ-ბრწყინვალე დღესასწაულის გამო ხელმწიფე მემკვიდრისა ებოძოს პოდპოლკოვნიკობა ყველა კაპიტნებს და როტმისტრებს ქვეითა ჯარისა და კავალერიისა, რომელთაც მიიღეს მონაწილეობა ზემოხსენებულ ომში, ემსახურნენ ამ ჩინით არა ნაკლებ სამის წლისა, აქვთ ერთი ან ორი საჩუქარი...

პეტერბურგი. დღეს გადაიცვალა პავლე კონსტანტინეს ძე კიუგელხენი, „პეტერბურგის გერმანულ უწყებები“-ს რედაქტორი.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

განცხადებანი

ვოკზლის პირდაპირ, სახლი
კარაგეზოვი
ახლად გახსნილ რძის მაღაზიაში „ჰიგიენა
იყიდება ხელმისაწვდენ ფასად ახალი საქ
ნელი. მსურველს შეგვიძლიან შინ გავუგზ
ვნოთ რძე, თუ დღეში ორ ქილაზე ნაკლებ
არ დაიკვეთს. (3—340—1)



СѢДЕЛЬН
СПЕЦІЯЛЬН
Безъ конкуренціи
продаются всевозможн. сѣдла
მიხაილოვის პრ., სახლი აკოფო
ვისა, № 92, საზაფხულო ხობრ
ნის ახლოს. (9.—176—61

ამერიკული ვაზის სანერგეში
კლო-ქვიშულში ქუთაისს
იყიდება 1000 ჯიშის ნერგი:
დამყნილი ძირიანი ვაზი. ლერწი ნამყენი და დასამყნობი. ფესვ-გადგმული ვაზები გასაშენებლად და გიბრიდები თვით-გამშენებელი, რომელიც კარგ ნაყოფს იძლევა. განცხადება და პრეისკურანტი უფასოდ. (1—6.-

დ. საჩხერეში,
ვაუწყებთ რა პატივცემულ საზოგადოებას,
ნობისთვიდან ჩვენ ვღებულობთ ახალ ახალ საქონელს რუსეთის ფაბრიკებისაგან: შალეულს, აბრეშუმისას, ბამბეულისას, ლოძის ტილოულობას, ყოველგვარ სასოფლო ჩითებს. იქვე იყიდება: ბამბა, მატყლი, ნოხ-ფარდაგები, გალანტერეის საქონელი, გვირგვინის მისალოცი ნივთები და სხვა. ალბომები, სახამებლიანი და აბრეშუმის პერანგები, [illegible], გვაქვს ყოველგვარი სანოვაგის მასალა და სხვა მრავალი საქონელი.
ვთხოვთ ჩვენს პატივცემულს მუშტარს არ დაგვივიწყონ. ვაჭრობა კონკურენციით. ფასები უვაჭროთ.
პატივისცემით ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე გახ
ჩილაძე. (2—336—2)

შ. არაგვისპირელის
მესამე წიგნი
იყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში. (5—6—4)

[illegible] მოსკოვი. 1870 პეტერბურგი. 1882 მოსკოვი. 1896 ნიჟ.-ნოვგოროდი.

კალოშებისა
და რეზინის სხვა საქონლისათვის
უდიდესი ჯილდო
Grand prix)
პარიზის გამოფენაზე
მიენიჭა რუსეთში მხოლოდ
ამხანაგობას
რუსეთ-ამერიკის
რეზინის მა[illegible]
ს.-პეტერბურგში,
დაარსებულს 1860 წელს

1860
Т.Р.А.Р.М.
С.ПЕТЕРБУРГЪ

რეზინის კალოშების
ყიდვის დროს
ყურადღება მიაქ
ლოშის ძირზე
განსაკუთრებით ამხანაგო
ბის დაარსების წელიწად
„1860“ და სიტყვ
„С.-Петерб
წითელ სამკუთ
ბრიკის ნიშანი
ნარდით ვაჭრ
აწარმოებენ ხ
ვრცელ სახელი

„ლეოპოლდ ნეიშელლერი“
ში პეტერბურგს, მოსკოვს, რიგას, ეკატერინბურგს, დონის როსტოვს, ხარკოვს, ოდეს
ტაშკენტში. და ტფილისს
(60—52)